პროლეტარეებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

27 მარტი პარასკევი 1970 წელი

ფასი 2 კაპ.

გამოცემის 50-ე წელი • № 72 (14676)

კეთილდღეობა-ბედნიერებისა!

ხარისხიც, რეალიზაციაც

ქუთაისი, (საკ. კორ.). ლენინურ შრომითს ვასტზე წარმატებებს აღწევს აბრეშუმის კომბინატის კოლექტივი, რომელმაც ათეულ ათასობით მანეთით გადააჭარბა პროდუქციის გამოშვებისა და მისი რეალიზაციის ორი თვის დავალებას. საგულისხმოა, რომ კომბინატმა გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 41 პროცენტით გაადიდა რეალიზაციის მოცულობა.

ფეიქრებმა ანალიზი პერიოდში გეგმის ზევით მასცეს სამშობლოს 53.000 მეტრი შუა აბრეშუმის ქსოვილი, გეგმასთან შედარებით 2.6 პროცენტით აამაღლეს შრომის ნაყოფიერება და 11,8 პროცენტით გაადიდეს პირველი ხარისხის ქსოვილების გამოშვება, მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა აგრეთვე ხამი აბრეშუმის ძაფის ხარისხი.

კვარტალის დავალება შესრულებულია

თბილისი. („კომუნისტის“ კორ.). სოციალისტურ შეჯიბრებაში მრავალი გამარჯვება აქვს მოპოვებული მაუდ-კამოლის კომბინატ „საბჭოთა საქართველოს“ კოლექტივს. ამ გამარჯვებებს კიდევ ერთი მიემატა. თბილისელი ფეიქრები გასულ წლის შედეგების მიხედვით პირველ ადგილზე გამოვიდნენ წარმოების მაღალი კულტურისათვის გაშლილ შეჯიბრებაში და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო პროფსაბჭოს დიპლომი დაიმსახურეს. ფეიქრებს, გადაეცათ ადგილობრივ სსრ კავშირის მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს გარდამავალი წითელი დროშა, რომელსაც შარშან ბაქოს № 1 ფეხსაცმლის ფაბრიკა ფლობდა.

ფეიქრები წელსაც მაღალკულტურულად და ნაყოფიერად შრომობენ. მათ უკვე შეასრულეს პირველი კვარტალის დავალება. თვის ბოლომდე გეგმის გადამეტებით გამოუშვეს 100 ათასი მანეთის პროდუქციას, ახლა კი ფეიქართა გადაწყვეტილებაა.

ეს დღეები სოფლად

უხვი მოსავლის რეფერენდუმები

წელს ჩვეულებრივზე ბევრად ადრე დათბა. კარგა ხანია გაზაფხულის სუნთქვა იგრძნობა ალაზნის ველზე, ბად-ვენახებსა და მინდვრებში სულ უფრო ძალიერდება შრომის ტემპი. ხუთწლედის დამამთავრებელ წელს გადდებული სოციალისტური ვალდებულებები იკისრეს თელავის რაიონის მეკვეხველებმა, მეხილეებმა, მხვნელ-მთესველებმა.

და დადებულ პირობას ხომ შესრულება უნდა! ამიტომ, მთელი ძალებით გაანაგეს ნიადაგის დამუშავება, სასუქების შეტანა, ჯიშისა და სეხილის სხვა, სარ-მაგალოს რემონტი, მეზობელი ადგილების შეკეთება.

რაიონის კოლმეურნეობებსა და სახელმწიფოს მეურნეობებს სულ 5.680 ჰექტარზე უთესიათ საშემოდგომო თავთავიანი კულტურები. მათ შორის მარტო ხორბალს 5.080 ჰექტარი უჭირავს. შარშან თავთავიანი კულტურების მოსავალმა საშუალოდ ჰექტარზე 13 ცენტნერის ნაცვლად 15,2 ცენტნერი შეადგინა.

მაგრამ განა ეს საბარბაღლო მოსავლად ჩაითვლება? ამავე რაიონის სოფლების ჯუდაანის, სანიორის, ვანთისა და სხვა კოლმეურნეობებში საშუალოდ ჰექტარზე 22-24 ცენტნერი მარცვალი მიიღეს.

ფშავლის და გუდაურის კოლმეურნეობებმა ტრაქტორის სპეციალური აგრეგატებით ჰექტარზე შეტანეს ასეულობით ტონა მინერალური სასუქი. ასეა იყალთოს, რუისპირის, კონდოლის კოლმეურნეობებშიც.

რაიონის მექანიზატორებს ამ საქმეში წამოეშველნენ სამოქალაქო აეროფლოტის მუშაკები. კურდღელაურის ფ. ეფანოვის სახელობის კოლმეურნეობამ ბირველმა დაიწყო თვითმფრინავით ჟეჟილებში მინერალური სასუქის შეტანა.

თვითმფრინავით შეაქვთ სასუქები აგრეთვე ბაურის და ვარდისუბნის კოლმეურნეობებს, ყარაჯალის ეთერზეთების საბჭოთა მეურნეობას.

ა. თვალიაშვილი,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ამხ. ვ. ნ. ფერაძეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ბარტიულ ორგანიზაციებსა და სამეცნიერო დაწესებულებებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით, საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიის ისტორიის ინსტიტუტის — სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის დირექტორის მოადგილე სამეცნიერო ნაწილში, ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ვლადიმერ ნესტორის-ძე მერკვილაძე დაჯილდოდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ვ. ძოწენიძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე

თბილისი, 1970 წლის 26 მარტი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ამხ. ლ. ვ. უალაბას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

კომკავშირულ და პარტიულ ორგანიზაციებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტის საქართველოს ლენინის სახელობის კომუნისტური უმაღლესი სასწავლებლის დირექტორის მოადგილე სამეცნიერო ნაწილში, ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ლევან ალექსის-ძე ფანცულაია დაჯილდოდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ვ. ძოწენიძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე

თბილისი, 1970 წლის 26 მარტი.

11 აპრილი კომუნისტური შაბათობის დღეა

საჯოველთაო მზადების ნიშნით

11 აპრილს ვიმეორებთ დანაზოგი მასალებით, ასეთი მოწოდებით მიმართა თბილისის ქარხანა „ბაბარატის“ მასალების დამამზადებელი უბნის ოსტატმა კომუნისტმა ა. კოხრეიძემ ქარხნის კოლექტივს. ოსტატმა-ინიციატორმა ვალდებულება იკისრა 11 აპრილს პირადი დავალება ორმაგი გადაჭარბებით შეასრულოს და გამომუშავებული თანხა ხუთწლედის ფონდში გადარიცხოს. ოსტატის ინიციატივას მხარი დაუჭირეს სხვა საამქროების მუშებმაც. დავალების ორმაგი გადაჭარბებით შესრულება იკისრეს აგრეთვე მომინანქრებელი საამქროს გამომწვანლებმა ზ. ხურციძემ, ნ. ბანცაძემ, შეჭანიკური საამქროს ხარატმა დ. მოწონელიძემ და სხვ. კაიშალა შეჯიბრება მასალებისა და დროის ეკონომიისათვის.

— 11 აპრილს ქარხნის 500 მუშა, გამოვა ლენინურ კომუნისტურ შაბათობაზე, — თქვა „კომუნისტის“ კორესპონდენტთან საუბარში ქარხნის პარტბიუროს მდივანმა გ. ოუშკიანიმ. — ნაწილი რაიონის ტერიტორიის დასუფთავებაზე იშრომებს, ნაწილი წესრიგში მოიყვანს საწარმოს ტერიტორიას, დაარგავენ ასობით ძირ ნერგს.

მუშების დიდი უმეტესობა ამ დღეს საკუთარ სამუშაო ადგილზე გაატარებს. გადაწყვეტილი გვაქვს გამოვუშვათ რამდენიმე ათეული ცალი უნიფიცირებული გაზქურა, რომლის სერიული წარმოება წელს ავითვისეთ, დაამთავროთ ონკანების დასაყენებელი მილის დამამზადებელი ავტომატის გამოცდა, 11 აპრილს დრის ბოლოს შევასრულოთ აპრილის პირველი ნახევრის დავალება, გამომუშავებული თანხა გადავრიცხოთ ხუთწლედის ფონდში.

ქარხანა „გაზაბარატის“ კოლექტივი ენთუზიაზმით შრომობს მომდინარე წელს. აქ უკვე შეასრულეს გაზქურების გამოშვების პირველი კვარტალის დავალება.

შაბათობაზე—სტუდენტები

ქუთაისი. (საკ. კორ.). საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის ფაკულტეტის სტუდენტებმა და ლექტორ-თანამშრომლებმა მხურვალედ დაუჭირეს მხარი ჩვენი ქვეყნის მოწინავე საწარმოთა კოლექტივების პატრიოტულ ინიციატივას — 1970 წლის 11 აპრილს მოაწყონ კომუნისტური შაბათობა ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის აღსანიშნავად.

კომუნისტური შაბათობის დღეს 500-ზე მეტი სტუდენტი უსასყიდლოდ იმუშავებს ინსტიტუტის წყალსადენის ქსელის რეკონსტრუქციაზე და სასწავლო სასადილო-ლაბორატორიის კორპუსის მშენებლობაზე. დიდი მოცულობის სამუშაოებს შეასრულებენ ავრეთვე ინსტიტუტის ეზოს გამწვანებისა და კეთილმოწყობისათვის. ამ დღეს ისინი დარგავენ 1.000 ძირ სხვადასხვა დეკორატიულ მცენარეს, წესრიგზე მოიყვანენ ეკალთბურთისა და ფრენბურთის მოედნებს, მშენებლობის ნარჩენებისაგან გაწმენდენ და გაასუფთავებენ მთელ ტერიტორიას.

სტუდენტებმა უკვე მოაწყეს პირველი მასობრივი შაბათობა ქალაქის შემოგარენში, მდინარე წყალწითელას სანაპირზე ხრიოკი ადგილების გასამწვანებლად.

11 აპრილს, კომუნისტური შაბათობის დღეს, სტუდენტებს გადაწყვეტილი აქვთ ათასი კაცდღე გამოიმუშავონ და მთელი თანხა შეიტანონ ხუთწლედის ფონდში.

მათ თავი ისახელეს

თბილისელი ელმავალმშენებლები რესპუბლიკაში ერთ-ერთი პირველი ჩაებნენ არსებული რეზერვების ამოქმედებისა და მომჭირნეობის რეჟიმის განმტკიცებისათვის გაწეულ შეჯიბრებაში. ჯერ საამქროებსა და უბნებში, შემდეგ კი საერთო-საქარხნო კრებაზე დიდი სჯა-ბაასი გაიმართა საწარმოო სიმძლავრეთა უკეთ გამოყენების, მასალებისა და ნედლეულის ეკონომიურად ხარჯვის საკითხებზე. მაგრამ ამასთან ელმავალმშენებლებმა დიდი ყურადღება დაუთმეს მუშაობა კვალიფიკაციის ამაღლებას და აკისრეს თვითეული მუშის შრომის ნაყოფიერება აიყვანონ მოწინავე მუშათა შრომის ნაყოფიერების დონემდე. ამ მნიშვნელოვან საქმეს სათავეში ჩაუდგნენ საწარმოს მოწინავე ადამიანები, თავისი პროფესიის წამდვილი ოსტატები. სურათზე: აი ისინი, ვინი გამოცდილებითაც დღეს საწარმოს ბევრი მუშა შრომობს, კომუნისტური შრომის ბრიგადების ხელმძღვანელები (მარცხნიდან) სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ბ. ალდუნელი, ვ. ულიანოვი, ი. ბუსლიაევი, ა. გორგაძე და შ. ბარბაქაძე.

ფოტო ვლ. გინზბურგისა.

კანდიდატთა დასახელება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისიის შემადგენლობაში

გრძელდება დასახელება კანდიდატებისა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისიის შემადგენლობაში.

ნავთობსარეწი სამმართველოს „ნებტედორნავთობის“ კოლექტივმა კომისიის შემადგენლობაში დასახელა № 1 ნავთობისა და გაზის ბურმოვნების სარეწის ოპერატორი უპარტიო **ა. ჩარლიეევი;** სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმმა — სოციალისტური შრომის გმირი, სრულიად სკკავშირო საზოგადოება „ცოდნის“ გამგეობის თავმჯდომარე, „აკადემიკოსი **ი. ი. ანტონოვსკი,** უპარტიო; კოლმეურნეობათა საკავშირო საბჭომ — ყირიმის ოლქის კოლმეურნეობა „ხალხთა მეგობრობის“ თავმჯდომარე, სოციალისტური შრომის გმირი **ი. ა. ეგუდინი;** სსრ კავშირის არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელმძღვანელობათა საზოგადოების ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმმა—საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის მთავარი პოლიტსამმართველოს უფროსი არმიის გენერალ-**ა. ა. ეპიშევი;** ყაზანის № 2 სამშენებლო ტრესტის სამშენებლო-სამონტაჟო სამართველოს კოლექტივმა — კალატოზთა ბრიგადირი, სოციალისტური შრომის გმირი **კ. ხ. იბატულინი;** ლატვიის ახალგაზრდათა ლენინურმა კომუნისტურმა კავშირმა — რესპუბლიკის კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი **ბ. კ. პუგო;** სსრ კავშირის მწერალთა კავშირმა — კავშირის გამგეობის მდივანი, სოციალისტური შრომის გმირი **ნ. ს. ტიხონოვი,** აზერბაიჯანის ნ. ნარიმანოვის სახელობის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის კოლექტივმა — ამ უმაღლესი სასწავლებლის კათედრის პროფესორი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი **ზ. ტ. უალიევი.** (საკრლი).

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს არჩევნების საქართველოს სსრ რესპუბლიკური საარჩევნო კომისიის

საქართველოს სსრ რესპუბლიკური საარჩევნო კომისიის

საქართველოს ქალაქებსა და სოფლებში გრძელდება ეროვნებათა საბჭოს არჩევნების საქართველოს სსრ რესპუბლიკური საარჩევნო კომისიის შემადგენლობაში ერთსულოვნად დასახელა სკკპ წევრი, მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, ამ უმაღლესი სასწავლებლის სსრ რესპუბლიკური საარჩევნო კომისიის შემადგენლობაში კანდიდატების დასახელება.

თბილისის ორთქმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის პარტიულმა ორგანიზაციამ ეროვნებათა საბჭოს არჩევნების საქართველოს სსრ რესპუბლიკური საარჩევნო კომისიის შემადგენლობაში კანდიდატად დასახელა სკკპ წევრი, საწარმოს მოწინავე მეშედელი **რ. ბ. ოგანეზოვი.**

გიმართა საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმის გაფართოებულ სხდომა, რომელიც მიეძღვნა კანდიდატის დასახელებას ეროვნებათა საბჭოს არჩევნების საქართველოს სსრ რესპუბლიკური საარჩევნო კომისიის შემადგენლობაში, ერთსულოვნად დასახელა სკკპ წევრი, მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, ამ უმაღლესი მათემატიკის კათედრის პროფესორი **ს. ხ. შათაშვილი.**

გაეთო „ვეჩერნი ტბილისის“ redakciის შემადგენელი ერთიანი კრება განიხილა ეროვნებათა საბჭოს არჩევნების საქართველოს სსრ რესპუბლიკური საარჩევნო კომისიის შემადგენლობაში კანდიდატის დასახელების საკითხი. აქ მიღებულია გადაწყვეტილება ეროვნებათა საბჭოს არჩევნების საქართველოს სსრ რესპუბლიკური საარჩევნო კომისიის შემადგენლობაში კანდიდატად დასახელონ გაზეთის redaქტორი **ბ. ვ. ასლანიდი.**

ეროვნებათა საბჭოს არჩევნების რესპუბლიკური საარჩევნო კომისიის შემადგენლობაში კანდიდატის დასახელების მიეძღვნა კრება, რომელიც გაიმართა გრიბოედოვის სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრში.

თეატრის მუშაკებმა თავიანთ წარმომადგენლად კომისიის შემადგენლობაში დასახელეს საქართველოს სსრ სახალხო არტისტი **ნ. ბ. ბურმისტროვი.**

მარნეულის რაიონის სახელმწიფო დაწესებულებების მუშაკთა პროფესიული კავშირისაგან ეროვნებათა საბჭოს არჩევნების საქართველოს სსრ რესპუბლიკური საარჩევნო კომისიის შემადგენლობაში დასახელებულია მარნეულის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე **ა. ბ. მამედოვი.** (საქდესი).

ინფორმაციის დღე

26 მარტს საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში „ინფორმაციის“ მორიგი დღე გაიმართა.

საერთაშორისო მდგომარეობის ზოგიერთი საკითხი გააშუქა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდის განყოფილების ლექტორმა ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატმა **ა. ვ. ვახრამეევმა.**

რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრმა **ე. ა. შევარდნაძემ** ილაპარაკა საზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცებისა და დამნაშავეობასთან ბრძოლის აქტუალურ პრობლემებზე პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებათა მიხედვით (საქდესი).

მეგობროგისა და ძმოგის სიმღერები

მოსკოვიდან სამშობლოს უკიდეგანო სივრცეებამდე — ეს სიტყვები შეძღლებოდა წაგვემღერებინა ეკიბრაფად უნგრეთის კულტურის დღეებისათვის, რომელიც საბჭოთა ქვეყანაში დაიწყო 25 მარტს, მომეწი „უნგრული საღამო“ წელს საზეიმოდ აღინიშნავს ფაშისტ დამპყრობთაგან საბჭოთა არმიის მიერ თავისი ქვეყნის განთავისუფლების 25 წლისთავს.

უნგრეთის კულტურის დღესასწაული საზეიმოდ გაიხსნა კრემლის ყრილობათა სასახლეში. დედაქალაქის საზოგადოებრიობის წარმომადგენლები ძმურად მიესალმნენ უნგრეთის დელეგაციას, რომელსაც მეთაურობს უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის კულტურისა და განათლების მინისტრი **ჟ. ილჯუ,** და სხვა უნგრელ ამხანაგები.

დარბაზში იყვნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **პ. ნ. დემიჩევი,** სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ა. ი. პაპუშმი.**

სსრ კავშირის კულტურის მინისტრმა **ე. ა. შურცბერგმა** გულთბილად მიულოცა უნგრელ მეგობრებს დღესასწაულის გასსნა.

საპასუხო სიტყვაში უნგრეთის დელეგაციის მეთაური **ჟ. ილჯუ** უნგრეთის მშრომელთა სახელით ძმურად მიესალმა მეკრებილთ. უნგრელი ხალხი, თქვა მან, მადლობელია საბჭოთა ხალხისა და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა ინტერნაციონალისათვის, რომ ისინი ყველაფერში უწევდნენ პოლიტიკურ და ეკონომიურ მხარდაჭერას, მხარი ეჭიდნენ დამოუკიდებლობის დაცვისა და სოციალისტური მშენებლობის დროს.

შემდეგ გაიმართა საზეიმო კონცერტი. (საკდესი).

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ამხ. ბ. ნ. ფერაძეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ბარტიულ ორგანიზაციებსა და სამეცნიერო დაწესებულებებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით, საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიის ისტორიის ინსტიტუტის — სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის დირექტორის მოადგილე სამეცნიერო ნაწილში, ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ვლადიმერ ნესტორის-ძე მერკვილაძე დაჯილდოდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ვ. ძოწენიძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე

თბილისი, 1970 წლის 26 მარტი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ამხ. ლ. ვ. უალაბას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

კომკავშირულ და პარტიულ ორგანიზაციებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტის საქართველოს ლენინის სახელობის კომუნისტური უმაღლესი სასწავლებლის დირექტორის მოადგილე სამეცნიერო ნაწილში, ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ლევან ალექსის-ძე ფანცულაია დაჯილდოდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ვ. ძოწენიძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე

თბილისი, 1970 წლის 26 მარტი.

თავისუფალი უნგრეთის 25 წელი

29 მარტს მოსკოვში მუშაობა დაამთავრა უნგრეთის განთავისუფლების 25 წლისთავისადმი მიძღვნილმა სამეცნიერო სესიამ. მისი ორგანიზატორები არიან სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემია, სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტი და საზოგადოებრივ მეცნიერებათა აკადემია, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის სლავთმცოდნეობისა და ბალკანისტიკის ინსტიტუტი, მეგობრობის საბჭოთა საზოგადოებათა კავშირი და საბჭოთა კავშირ-უნგრეთის მეგობრობის საზოგადოება.

სესიაზე მოისმინეს საბჭოთა და უნგრელ მეცნიერთა მოხსენებანი.

რუსეთის სფსრ მწერალთა მე-3 ყრილობა

მოსკოვი, 26 მარტი. მახარებს, რომ ჩემი შრომა უფრთდება ჩემი რესპუბლიკის შრომას, — თქვა დიდმა პოეტმა, ეს სიტყვები შეუძლიათ გამოეთქვა ორმა პროზაიკოსებმაც და დრამატურგებმაც. საბჭოთა ლიტერატურა უძლიერესი იდეური იარაღია კომუნისტური საზოგადოების მშენებლობისათვის ბრძოლაში.

რუსეთის მწერალთა მე-3 ყრილობაზე ყველა მოხსენება გამსჭვალული იყო აზრით, რომ ვ. ი. ლენინის მიერ შემუშავებულ პრინციპებს ლიტერატურის პარტიულობისა და ხალხურობის შესახებ მარადიული მნიშვნელობა აქვთ, რომ ურღვევად ერთგული არიან ლენინიზმის იდეებისა, რომ მწერალი ყველაზე მეტადრიდ არიან შეკავშირებული სკკპ ცენტრალური კომიტეტის გარშემო.

მომხსენებლებმა დაწვრილებით გააანალიზეს განვლილ პერიოდში ჩვენი ლიტერატურის განვითარება, შეეხნენ შემოქმედებით უმნიშვნელოვანეს პრობლემებს.

25 მარტს კავშირების სახლის სვეტებიან დარბაზში დაიწყო პროზის, პოეზიის, დრამატურგიისა და საბავშვო ლიტერატურის საკითხებზე მოხსენებების განხილვა.

კამათი გახსნა მოსკოვის მწერალთა ორგანიზაციის გამგეობის მდივანმა სერგეი მიხალკოვმა. შემდეგ გამოვიდნენ ბარუზ �ეენოვი (თბილისი), ნიკოლოზ გაბუნოვი, ბარისაქ პრიზოვა, ბურიატეთის მწერალთა ორგანიზაციის წარმომადგენელი ფაბა ბალსარაევი, ნიკოლოზ დეფუშინი (ჩუვაშეთი), ჟურნალ „დრუჟბა ნაროდოვის“ მთავარი redაქტორი სერგეი ბარუზდინი, ანატოლ სოფრონოვი, სერგეი ნაროვჩატოვი.

მწერალთა ყრილობამ მოისმინა სამანდატო კომისიის თავმჯდომარის სერგეი ორლოვის მოხსენება.

კომკავშირის სახელით რუსეთის მწერლებს ახალი წარმატებანი უსურვა სრულიად საკავშირო ალკა ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ალექსანდრე კანდალოვმა.

შემდეგ განაგრძეს კამათი მოხსენებათა ბგერ. კამათში მონაწილეობდნენ დანიელ გრანინი (ლენინგრადი), ბაქირ ბეგ იასეევი (ბაშკირეთი), გრიგოლ კონონოვი (სარატოვი), რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე ნ. ფ. სეერეიდინი, სერგეი დანილოვი (იაკუტია), ალექსანდრე მარტინოვი (მორდვეთი), მაძსიმ ცაბარაევი (ჩრდილოეთ ოსეთი), ვიქტორ პანკოვი (მოსკოვი), ანატასე კოპტელოვი (ნოვოსიბირსკი), ა. ბ. გორკის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტის რექტორი ვ. შ. ციმბინოვი.

გამოსულებმა აღნიშნეს, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს სკკპ 23-ე ყრილობის გადაწყვეტილებებს; პატტის დოკუმენტებს ლიტერატურისა და ხელოვნების საკითხებზე. ორატორებმა ილაპარაკეს ჩვენი ლიტერატურის უმნიშვნელოვანეს ამოცანებზე. — მაგალითად მხატვრული სახეებით გადმოსცენ საბჭოთა ადამიანის — მტკიცე, იდეურად მებრძოლის, კოლექტივისტის, პარტიისა და ინტერნაციონალისტის, დიდი სოციალისტური საშამნოს მოჩალქის სულიერი და ზნეობრივი სიმდიდრე.

26 მარტს ყრილობა მუშაობას განაგრძობდა.

დილის სხდომაზე მოხსენებების გამო კამაში. პირველი გამოვიდნენ სერგეი ვიკულოვი („ჟურნალ „ნაშ სოვრემენიკის“ მთავარი redაქტორი) და ვიტალი ფაკრშტაინი (როსტოვის მწერალთა ორგანიზაცია). (საკდესი).

პარტიული ცხოვრება

მეგრელი უჯრედი

პარტიული ჯგუფი სპეციალიზ

უპირველეს ნოემბერში, როცა ქუთაისის აბრეშუმის კომბინატის მეორე საქსოვი საამქროს „ბ“ ცვლის პარტიული ჯგუფის ორგანიზატორის ასარჩევად შეიკრიბნენ, ყველა, როგორც ერთმა, მე-10 ბრიგადის ქსოვის ინსტრუქტორს მაყვალა გამყრელიძეს მიაპყრო თვალი.

ნოვატორი ფეიქარი ერთსულოვნად აირჩიეს ცვლის პარტჯგუფორგად. კომუნისტების არჩევანი სწორი გამოდგა. შრომით და მხოლოდ შრომით მოიპოვა მაყვალა გამყრელიძემ თავისი დობილების და თანამოსაქმეების პატივისცემა.

მთელ საამქროში იგი პირველი გადავიდა ოთხი მექანიკური საქსოვი დაზგის მომსახურებაზე. მალე ნოვატორი მქსოველი ქსოვის ინსტრუქტორად დაიწინაურეს. და მან იკისრა სამუშაოდ წასულიყო ყველაზე ჩამორჩენილ მე-10 ბრიგადაში, იქ, სადაც მქსოველთა ნახევარი ვერ ასრულებდა გამომუშავების ნორმებს. ხიძნელეებმა როდი შეაშინა კომუნისტი ფეიქარი. მოკლე ხანში შეისწავლა მან საქმის მდგომარეობა, კარგად მოაწყო შრომის ორგანიზაცია, რაც მთავარია, დაეხმარა ბრიგადის თვითეულ წევრს, ჩაუნერგა საკუთარი ძალების რწმენა და იმის შეგნება, რომ თუ ერთმა შეძლო, ყველა შეძლებს ამოცანის შესრულებას.

და ყველამ შეძლო მხარი აება მოწინავეებისათვის. ახლა ამ ბრიგადის ათი მქსოველიდან ცხრა ოთხდაზგოსანია, თვითეული მათგანი 120-125 პროცენტით ასრულებს გამომუშავების ნორმებს, ამასთან პირველი ხარისხის ქსოვილებს გამოშვება აქ გეგმით გათვალისწინებული 50 პროცენტიდან 75 პროცენტამდე აიყვანეს.

ასე წამოსწია წინ ჩამორჩენილი ბრიგადა პარტჯგუფორგმა და ასე შეუწყო ხელი კოლექტივის წინსვლას.

გასულ წელს ცვლამ 1 მილიონ 319 ათასი მეტრი ძვირფასი აბრეშუმის ქსოვილი გამოუშვა, გეგმასთან შედარებით 21,6 პროცენტით გაადიდა პირველი ხარისხის ქსოვილების გამოშვება, ამასთან 3.8 პროცენტით აამაღლა შრომის ნაყოფიერება და 3.500 მანეთის ღირებულების ნედლეული დაზოგა.

ამ გამარჯვების სული და გული ცვლის პარტიული ჯგუფი, რომელიც 25 კომუნისტს აერთიანებს. კომუნისტი მქსოველები ნ. ხაბულიანი, რ. ჩარკვიანი, რ. გუმბერიძე, მ. მანდარია, ნ. ოდიშარია, ნ. ჭაშვილი, რ. ჭელიძე, მ. დანელია, ც. ქაფოძე, ლ. გასვიანი და ს. შშვენიერაძე შრომის ავანგარდში დგანან. თვითეული მათგანი ცვლაში 75 მეტრის ნაცვლად საშუალოდ 100 მეტრამდე კრეპდეშინს და კრეპჟორჯეტს ქსოვს, ამასთან გათვალისწინებული 50 პროცენტის ნაცვლად 80 პროცენტამდე პირველი ხარისხის ფარჩეულს უშვებს.

კომუნისტების ამ კარგ მაგალითზე ზრდის თვითეულ ფეიქარს კოლექტივის მებრძოლი უჯრედი, რომელიც ყოველივე ახლის, მოწინავის დანერგვის მოთავედ გამოდის და თავისი ყოველდღიური საქმიანობით კიდევ გამარჯვების გზებს.

ცხოვრების შეაგულში რომ ტრიალებს, უშუალოდ ადამიანთან, მატერიალური დოვლათის შემქმნელებთან რომ მუშაობს, პარტიული ჯგუფი დროულად სწვდება ნარმოების ყველა კუნჭულს, და ასევე დროულად, სწრაფად ასწორებს ნაკლოვანებებს და ხარვეზებს, წინ ეწევა კოლექტივის საქმეებს.

პარტიულ ჯგუფს მხედველობიდან როდი გამორჩა ის, რომ უპარტიო მქსოველები ნ. გაბადაძე და გ. ბიწაძე სამუშაოს აცდენდნენ, გამომუშავების ნორმებს ვერ ასრულებდნენ, ამასთან უსულგულოდ ეკიდებოდნენ საქსოვ დაზგებს. ჯგუფმა თავის შეკრებაზე იმსჯელა აღნიშნული მქსოველების შესახებ. დისციპლინის დამრღვევებმა შეიგნეს თავიანთი დანაშაული და პირობა დადეს უკეთ ემუშავნათ. ახლა ორივე მქსოველი თამამად უსწორებს მხარს მოწინავეებს და მაგალითს იძლევა შრომაში.

იმ ხამი დაზგიდან, რომლებსაც მქსოველი ნ. ჭკირიკაშვილი ემსახურება, ერთზე წუნი ჩამოდიოდა. წუნმა 80 მეტრ ქსოვილს გადაამეტა.

პარტიულმა ჯგუფმა პრინციპულ სიმაღლეზე აიყვანა ეს ერთი, მაგრამ მეტად საგულისხმო ფაქტი. საქმის მდგომარეობის შესწავლით ცხადი გახდა, რომ წუნის გამოშვებაში ერთნაირად სცოდავდნენ მქსოველი ნ. კვირკაშვილიც და ქვეოსტატი ბ. ნემსაძეც. დაზგა აშლილი იყო. მის წესრიგზე მოსაყვანად კი არც ერთი იღებდა ზომებს, არც მეორე.

პარტიული ჯგუფის ამ შეკრებაზე, რომელსაც საამქროს პარტბიუროს მდივანი შ. ლომიძე ესწრებოდა, ხარისხის ინჟინერი მ. ტომარაძე და ცვლის ყველა ქვეოსტატი მიიწვიეს. დიდი სჯა-ბაასი გაიმართა წუნის აღმოფხვრის, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების გზებზე.

აქ მარტოოდენ ზემოხსენებულ ფაქტზე მსჯელობას როდი დასჯერდნენ. კომუნისტმა მქსოველებმა ნ. შანიძემ, რ. ჩარკვიანმა და კიმპარეთ ქსოვილეულის ბიუროს მდივანი, ოთხდაზგოსანი მქსოველი მ. დანელია, მოწინავე მქსოველები ნ. ჭაშვილი, მ. მოლაშხია და ც. ჭაფოძე. პარტიული ჯგუფის დამპარეთან ახალგაზრდა კომუნისტები აქტიურ პარტიულ მუშაობაში არიან ჩაბმული და მაგალითს იძლევიან შრომასა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

პარტიული ჯგუფი, მასში გაერთიანებული კომუნისტები ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი სოციალისტური შეჯიბრების წინა ხაზზე არიან და იმისათვის იბრძვიან, რომ ცვლის კოლექტივმა 22 აპრილს შეასრულოს ოთხი თვის დავალება და ახალი სახელოვანი მიღწევები მოიპოვოს ლენინურ საიუბილეო წელს.

Ш. ჯავახაძე,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

ლენინურ ადგილებში

ჰყვავის ალუბლის ბაღი

ლენინური გორკა მდებარეობს მოსკოვიდან 35 კილომეტრის დაშორებით ტენგის წყალში, მდინარე კარასნაია პახრას ნაპირზე.

1918 წლის 24-25 სექტემბერს ვლადიმერ ილიას-ძე პირველად ჩამოვიდა აქ, რომ გაეგრძელებინა მკურნალობა.

1918-1921 წლებში ვლადიმერ ილიას-ძე დროგამოშვებით ისვენებდა და მკურნალობდა გორკაში, ხოლო 1923 წლის 15 მაისიდან სიცოცხლის ბოლო დღეებამდე თითქმის გამოუსვლელად ცხოვრობდა აქ. ლენინმა აქ ორი წელი იცხოვრა და ეწეოდა დაუცხრომელ მუშაობას პარტიის X და XI ყრილობების, საბჭოების ყრილობებისა და კომინტერნის კონგრესების მოსამზადებლად, აქ ხვდებოდა საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის წარმოამადგენლებს, თავის თანამებრძოლებს, ადგილობრივ გლეხებს, მუშათა დელეგაციებს.

საბჭოთა ადამიანი ბელადის ჯანმრთელობისათვის დიდ მზრუნველობას იჩენდნენ. ფოსტას-ყოველდღიურად მოჰქონდა უამრავი წერილი და გულითადი საჩუქრები საყვარელ ბელადისადმი.

ქალაქ ვიატკის საბავშვო სახლის მოსწავლეებმა გამოუგზავნეს ლამაზი საქაღალდე წარწერით „ძვირფას პაპა ილიჩს“; ტულელმა გლეხებმა — გულდასმით მოქარგული პირსახოცი; სრულიად რუსეთის პირველი სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილე მუშებმა — საწერი ხელსაწყო და ა. შ.

ლენინური გორკას დიდი სახლის ფანჯრებიდან კარგად მოჩანს ალუბლის ბაღი, რომელიც აგრეთვე საჩუქარია გლეხთა ბამბეულის კომბინატის მუშებისაგან.

1923 წლის მეორე ნახევარში ლენინის ჯანმრთელობის მდგომარეობით შეწუხებულმა გლეხთა ბამბეულის კომბინატის მრეველთასაიანმა კოლექტივმა ამავე წლის 1 ნოემბერს გადაწყვიტა გაეგზავნა თავისი დელეგაცია ლენინთან. დელეგაციაში შეიყვანეს რამდენიმე მოწინავე მუშა: მქსოველი გერასიმ კოზლოვი, სავლოვი დაზგების ოსტატი კლავდია გუსევა, მეჭედელი დიმიტრი კოზლოვი... დელეგაციას ხელმძღვანელობდა კომბინატის წარჩინებული მქსოველი პელაგია ხოლოდოვა, რომელიც ლენინს ადრეც მეხვდა, სრულიად რუსეთის მშრომელი ქალების ყრილობაზე, სადაც ვლადიმერ ილიას-ძე ესაუბრა გლეხთა კომბინატის მუშათა ცხოვრებაზე.

1923 წლის 2 ნოემბერს გამთენიისას მუშები დაადგნენ შორეულ გზას. სატვირთო მანქანაზე ფრთხილად დაწყვეს 18 ძირი ახლად ტანაყრილი ალუბლის ხე, რასაც ბრეზენტი გადააფარეს. გზად მიმავალი დელეგატები აჩქარებდნენ მძღოლს, ყველა მათგანს სურდა რაც შეიძლება მალე ენახა ილიჩი. გორკაში საღამოს 5 საათზე ჩავიდნენ. დელეგაციას ლენინის და მარიამ ილიას ასული შეხვდა. მუშები მიიწვიეს ოთახში.

აი როგორ იგონებს ამ ამბავს ჰ. ა. ხოლოდოვა: „ოროთდე წუთის შემდეგ ჩვენ მოგვესმა მარიამ ილიას ასულის ხმა: — „ვალოდია, შენთან სტუმრები არიან“. კარი გაიღო, და ჩვენკენ გამოემართა ილიჩი. მას სანტარი გამოჰყვა. ილიჩს, ჩვეულებისამებრ თავისი განუყრელი ქუდი ეხურა. ამ ქუდით მე იგი არაერთხელ მინახავს. ილიჩი მოგვიახლოვდა, მარცხენა ხელით ქუდი მოიხადა. მერე მარჯვენა ხელი გადაიტანა და ჩვენ მარცხენა ხელი ჩამოგვართვა. სიხარულისაგან დავიბენით და ბავშვებივით ტირილი აგვივარდა“.

წინასწარ მომზადებული სიტყვები არავის მოჰგონებია, და როცა ალილეევამ გაუარათ, ილიჩს გამოჰკითხეს, თუ როგორ გრძნობდა თავს.

ბ. ხოლოდოვამ მიმართა ლენინს: „ჩვენ, 12 ათასმა მუშამ, ერთხმად მივიღეთ დადგენილება, რომ გაეფრთხილოთ თქვენს თავს ჩვენთვის, მუშებისათვის, რომ არ გადიქანცოთ“.

ლენინის ბაგეებს კეთილმა ღიმილმა გადაუარა, ვლადიმერ ილიას-ძეს გადასცეს 12-ათასიანი მუშათა კოლექტივისაგან საქაღალდე წერილთან, სადაც მოთხრობილ იყო კომბინატის კოლექტივის საქმიანობაზე. გლეხთა ბამბეულელებს ერთი სიტყვაც არ უთქვამთ თავიანთ სიძნელეებზე, რომ ამით არ იეფელვებინათ ილიჩი.

იგი ყურადღებით გვისმენდა და თანხმობის ნიშნად თავს გვიქნევდა, — იგონებს ხოლოდოვა, — ხოლო როცა მას უთხრეს, რომ თან ჩავიტანეთ საჩუქარი, ლენინს სახე მოელრუბლა, როგორ არიდებდა თავს ლენინი ყოველგვარ საჩუქარს!

გლეხთა ბამბეულელებმა სთხოვეს ვ. ი. ლენინს მიეღო მათგან საჩუქარი. ძველმა მეჭედელმა ლენინს მიმართა: „შენს ფინჯანასთან დაგრგავთ. გაზაფხულზე ალუბლები აყვავდება, გაგეხარდება, თეთრად ყვავიან, საამო სურნელი აქვთ, ჯანმრთელობას უხდება“. ამ სიტყვების მოსმენისას ვლადიმერ ილიას-ძე გამხიარულდა, გაიღიმა. „გადაეცით გლეხთა ბამბეულელებს, — თქვა მან, რომ ასეთ შესანიშნავ საჩუქარზე უარს ვერ ვიტყვი“.

...შეხვედრის დრო იწურებოდა. დელეგაციის წევრები უნდა გამოსთხოვებოდნენ ლენინს. ლენინი მოეხვია ყოველ მუშას და გადაკოცნა. სულ ბოლოს მას ემშვიდობებოდა 60 წლის მეჭედელი და [illegible] ბამბეულელი. [illegible] ლენინმა [illegible] ალილეევებისაგან [illegible] მრეველმა [illegible] „მე მუშა ვარ, მეჭედელი, ვლადიმერ ილიას-ძე, [illegible] ვლადიმერ ილიას-ძესთან [illegible] ეს იყო უკანასკნელი დელეგაცია...

ვლადიმერ ილიას-ძესთან საუბრის შემდეგ დელეგაცია მიიწვიეს სუფრაზე. რომელზეც სამოვარი თუხთუხებდა. მარიამ ილიას ასულმა მოიტანა თეფში სოკოს წნილით და თქვა: ილიჩმა გთხოვეთ მიირთვათ სოკო, რომელიც თვითონ დაკრიფა პარკში, წუხს, ხომ ასადილეთ მუშები და მძღოლიო.

მუშებს მთელი ღამე არ უძინნიათ, ისე იყვნენ ადელვებულნი. დილით კი მარიამ ილიას ასულმა აცნობათ, რომ ვლადიმერ ილიჩი წერილი ლენინმა არაერთგზის წაიკითხა და ძალიან გაიხარა.

...მას შემდეგ 46 წელმა გასწია. ალუბლის ნორჩი ხეები შესანიშნავ ბაღად იქცა.

ახლა ლენინის დაბადების 100 წლისთავის საიუბილეო დღეებში, ლენინურ გორკაში დაუსრულებელ ხაადად მოედინება ექსკურსანტთა ჯგუფები არა მარტო ჩვენი სამშობლოს ყოველი კუთხიდან, არამედ საზღვარგარეთიდანაც.

ლენინის გორკაში მუზეუმის გახსნის დღიდან (1949 წლის თებერვალი) იგი ინახულა 2,5 მილიონზე მეტმა კაცმა.

ყოველ გაზაფხულს, როცა კვლავაც იღვიძებს დედამიწა, ლენინის სვეტებიანი სახლის წინ თეთრი ყვავილებით იმოსება ალუბლის ბაღი.

Ჰ. სახვიჩიძე,
მოსკოვი, ლენინური გორკა.

„საქართველოს კომუნისტი“ № 3

გამოვიდა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის თეორიული და პოლიტიკური ჟურნალის „საქართველოს კომუნისტის“ მორიგი, მესამე ნომერი.

ჟურნალი იხსნება მოწინავე წერილით — ვენდოთ და შევამოწმოთ, გავაძლიეროთ კონტროლი და მომთხოვნელობა.

განყოფილებაში „ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისათვის“ დაბეჭდილია: ბ. ლუტიძე — „ვ. ი. ლენინი სოციალისტური დემოკრატიის ნიშნების შესახებ; ფ. მახარაძე — „ლენინი — დეპუტატი; ზ. კაკაბაძილი — „მატერიალური დაინტერესების ლენინური პრინციპის განხორციელება მრეწველობაში.

„პარტიული ცხოვრების“ განყოფილებაში გამოქვეყნებულია სარედაქციო სტატია — „პერსპექტიული დაგეგმვისა და სოციოლოგიური გამოკვლევების გამოყენება პარტიული ორგანიზაციების საქმიანობაში; გ. გაჯიევი — „პირველადი პარტორგანიზაცია პასუხისმგებელია თავისი კომუნისტისთვის; ვ. ხოდელი — „ბელადის იუბილეს ალსანიშნავად; ვ. ამდალაძე — „საამქროს კომუნისტები.

ჟურნალში წარმოდგენილია აგრეთვე განყოფილებები „დიდ სამამულო ომში ფაშიზმის განადგურების 25 წლისთავისათვის“, „საპრობლემო თეორიული სემინარები“, „ჩვენი კალენდარი“, „წერილები და კორესპონდენციები“, „კრიტიკა და ბიბლიოგრაფია“.

მეცხვარეთა ღირსების საქმე

წარმატებით დავამთავროთ დოლი, მთლიანად შევინარჩუნოთ მიღებული ნამატი

საკავშირო ცენტრალური კომიტეტის 1969 წლის დეკემბრის პლენუმმა უდიდესი ამოცანები დასახა საზოგადოებრივი მეცხოველეობის შემდგომი განვითარების საქმეში. ამ დავალებათა წარმატებით შესრულება დიდ, დაძაბულ მუშაობას მოითხოვს ჩვენი რესპუბლიკის საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობებისაგან, რათა წელს დაძლეულ იქნას ის სერიოზული ჩამორჩენა, რასაც ადგილი ჰქონდა გასულ სამეურნეო წელს მეცხოველეობის სულადობისა და პროდუქტიულობის ზრდის საქმეში.

როგორც ცნობილია, 1969 წლის არასელსაყრელმა ამინდმა დიდი ზიანი მიაყენა სოფლის მეურნეობის მთელ რიგ დარგებს, განსაკუთრებით კი მეცხვარეობას. საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებში ამჟამად დიდი მუშაობაა გაჩაღებული მეცხვარეობაში არსებულ ნაკლოვანებათა უმოკლეს დროში გამოსწორებისათვის. 1970 სამეურნეო წელს ნამდვილად შექმნილია ყველა პირობა იმისათვის, რომ მკვეთრად გადადგეს საზოგადოებრივი მეცხვარეობის სულადობა და მისი პროდუქტიულობა.

ამჟამად ცხვარში ყველაზე პასუხსაგები პერიოდია. მიმდინარეობს მასობრივი დოლი. ამ კამპანიის წარმატებით ჩატარებაზეა დამოკიდებული 1970 წელს დასახული გეგმების შესრულება.

წელს დოლში ჩადგა 736.000 სახოგადოებრივი ცხვარი და თხა. მათ შორის კოლმეურნეობისა — 534.000 სული და საბჭოთა მეურნეობისა — 203.000 სული. საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ ადგილზე შემოწმების შედეგად მიღებული მასალებით დასტურდება, რომ სანმეურნეო მიმდინარეობს დოლი მეცხვარეობის ისეთ ძირითად რაიონებში, როგორიც არის: წითელწყაროს, სიღნაღის, საგარეჯოს, ახმეტის, თელავის, გარდაბნისა და სხვა რაიონები. ამ რაიონების ზოგიერთი კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობის ბრიგადებში შემოწმების დღისათვის ნამატის მიღებამ უკვე 80-85 პროცენტს გადააჭარბა. მაგალითად, წითელწყაროს რაიონის ზემო მაჩხაანის მეცხვარეობის ფერმის № 13 ბრიგადას (ბრიგადირი რ. მარტყოფლიშვილი) დოლში ჩაყენებული ჰყავდა 913 სული ცხვარი, საიდანაც შემოწმების დღისათვის დადოლებული იყო 780 სული და მიღებულია 782 ბატკანი, ანუ 84,5 პროცენტი.

სიღნაღის რაიონის ნუკრიანის კოლმეურნეობა „ლენინის ანდერძის“ კოლმეურნეობის მეცხვარეობის ფერმის № 4 ბრიგადის (ბრიგადირი კ. მათეშვილი) მეს ცხვარი ჩადგა დოლში, მიღებულია 640 ბატკანი, ანუ 74 პროცენტი. თელავის რაიონის ლალისყურის საკოლმეურნეობათაშორისო მეცხვარეობის მეურნეობაში დასადოლებელი იყო 14.000 დედაცხვარი. ამ მეურნეობის № 7 ბრიგადაში (ბრიგადირი ტ. ჭვირტიძე) დოლში ჩადგა 680 სული ცხვარი, მიღებულია 652 ბატკანი, ანუ 95 პროცენტი. ასევე კარგი მაჩვენებელი აქვს ამავე მეურნეობის № 1 ბრიგადას (ბრიგადირი დ. გელაური).

ორგანიზებულად და უდანაკარგოდ მიმდინარეობს დოლი და ნამატის მიღება-შენარჩუნება ალვანის მეცხვარეობის სანაშენო და ჯანდარის მეცხოველეობის სანაშენო მეურნეობებში. ამ მეურნეობების დასაბამ ერთად ამ საქმეს შესანიშნავად წარმართავენ მუშები ო. შავრაშვილი, ვ. გოგლაური, ლ. ძიძიგური, ისინი დღეში 15 ჰექტარ ბაზს სხლავენ.

ყველგან ნიადაგი საუკეთესოდ არის დამუშავებული. ახლა მექანიზებული წესით ორგანული სასუქი შეიქნა. რ. აფხაზავილს, შ. ძელურს, ვ. წიკლაურს, გ. წამალაშვილს.

თბილი ამინდების გამო ხეხილის ნარგავები შეწამვლას მოითხოვდა. ეს სამუშაოც არ დააყოვნეს. შესანიშნავი ალარატებით გ. ყარყარაშვილი, რ. წიკლაური ბეჭითად მუშაობენ. პირველი წამლობა 575 ჰექტარზე უკვე დამთავრეს. ამ დღეებში მეორე წამლობაც დაიწყეს. ამისათვის გამოყენებულია 22 შესაწამლი ალარატი.

საგაზაფხულო სამუშაოები დაგამთავროთ აგროვადებში, გაზაფხულს მოკუმბადოთ ჯანსაღი ტექნიკა — ასეთი დევიზით მუშაობენ გარკეთილის მექანიზატორები. სარემონტო სახელოსნოში მთელ დღეს არ წყდება ტრაქტორების, ავტომობილების, ტრაქტორების ყველა ნაწილს საგულდაგულოდ სინჯავენ. უვარგისს ახლით ცვლიან. შესაკეთებელს რემონტს უკეთებენ. ამ საქმეს კარგად ხელმძღვანელობს მთავარი ინჟინერ-მექანიზატორი ვ. კაპანაძე.

მექანიზატორებმა იკისრეს 25 მარტამდე რემონტი გაუკეთონ 17 ტრაქტორს. ფაქტიურად პირობა ამ დღეებში შესრულეს. შეკეთებული ტრაქტორებით ახლა ნიადაგს ამუშავებენ და ჯერ არ ყოფილა შემთხვევა, რომ შეფერხება ჰქონოდეთ.

მინდვრის სამუშაოების წარმატებით ჩატარებასთან ერთად დიდი ყურადღება ექცევა მეურნეობის მუშაკთა საყოფაცხოვრებო საკითხების მოგვარებას. გაჩაყვთ გაზი. სულ მალე მეურნეობაში დასახლებულ 340-სავე ოჯახში ცისფერი ალი ანთება. ახლახან 36 ოჯახი შესახლდა ახალ ეთილმოწყობილ ბინებში. მალე კიდევ 30 ოჯახისათვის დამთავრდება ორსართულიანი შენობის აგება. ამას წინათ საექსპლოატაციოდ გადაეცა ეთილმოწყობილი ბოლოკლინიკა. საუკეთოდ მოეწყოთ საცურავი აუზი, ოფლბურთის მოედანი. მალე დამთავრდება სპორტული დარბაზის, ბანოს, სასათბურო მეურნეობის აგება.

ფყალი — მკურნალი

რეზერვები მოქმედებაში

ნელს უცნაური ზამთარი იყო. თებერვალში გაზაფხულის მსგავსად თბილოდა. სამგორის მიწა გამოიფიტა, ვაზის და ხეხილის ნარგავებს გაუჭირდა. ვარკეთილის საბჭოთა მეურნეობის კოლექტივი ასეთ პირობებში გულხელდაკრეფილი როდი იყო. რამდენიმე ათეულ კილომეტრზე მოწყობილი. შიდა სარწყავი სისტემიდან შეუდგენენ ხეხილისა და ვაზის ნარგავების რწყვას. ამ საქმის ხელმძღვანელად სპეციალურად გამოყოფილია ბიოროტექნიკოსი მ. სტეფანაძე და მექანიზატორი ს. დელიბაშვილი. რა საინტერესოა, როცა ერთი ადარეთი 80 დიამეტრზე დაწვიმების წესით ირწყვება ვენახი, ხეხილი.

სარწყავად მარტო ერთი ონკანი როდია. აქ საჭიროების შემთხვევაში ერთსა და იმავე დროს მორწყვაზე ათას ორასი ონკანი მუშაობს და 1.300 ჰექტარი ირწყვება.

მეურნეობის ფერდობ ადგილებში 120 ჰექტარი ნიადაგი გამოუყენებელი იყო. უწყლოდ ხეხილიც ადრე ხმებოდა. ამას ყურადღება მიაქციეს. ამუშავდა ტრაქტორები, ბულდოზერები. აღნიშნულ მიწაში დაირგო ხეხილი. აქაც მოსარწყავ ნარგავებს წყალი არ მოაკლეს, ახლახან მოაწყეს ახალი საქარი და დაწვიმების წესით საჭიროების დროს რწყავენ. დარგული 36.000 ძირი მცენარე ამ ოონასძიების შედეგად მთლიანად გაბარებულია. ამ საქმეს კარგად ერთმევენ თავს მეათე აგროვანყოფილება (მმართველი ა. კახიძე).

ვარკეთილის მშრომელები საქმით უპასუხებენ პარტიის მოწოდებას ამამაღლონ ახალი რეზერვები წარმოების ეფექტიანობის ასამაღლებლად. ამ მიმართულებით უკვე გადადგეს პირველი პრაქტიკული ნაბიჯი. ეს მიწის გონივრული გამოყენებაა.

ზოგან ვაზი მეჩხერი იყო. ამ დღეებში გადაწყდა მეჩხერი ადგილები შეივსოთ. სამეჩხრის ლიკვიდაციის მიზნით გამორგეს 42 ათასი ძირი და გადაიწვინეს 65 ათასი ძირი ვაზი.

ვარკეთილის საბჭოთა მეურნეობის (დირექტორი ი. კაკალაძე), სახელოვანი მევენახე ლ. ძიძიგური სამუშაოდ ერთად ამ საქმეს შესანიშნავად წარმართავენ მუშები ო. შავრაშვილი, ვ. გოგლაური, ლ. ძიძიგური, ისინი დღეში 15 ჰექტარ ვაზს სხლავენ.

ყველგან ნიადაგი საუკეთესოდ არის დამუშავებული. ახლა მექანიზებული წესით ორგანული სასუქი შეიქეთ რ. აფხაზავილს, შ. ძელურს, ვ. წიკლაურს, გ. წამალაშვილს.

თბილი ამინდების გამო ხეხილის ნარგავები შეწამვლას მოითხოვდა. ეს სამუშაოც არ დააყოვნეს. შესანიშნავი ალარატებით გ. ყარყარაშვილი, რ. წიკლაური ბეჭითად მუშაობენ. პირველი წამლობა 575 ჰექტარზე უკვე დამთავრეს. ამ დღეებში მეორე წამლობაც დაიწყეს. ამისათვის გამოყენებულია 22 შესაწამლი ალარატი.

საგაზაფხულო სამუშაოები დაგამთავროთ აგროვადებში, გაზაფხულს მოკუმბადოთ ჯანსაღი ტექნიკა — ასეთი დევიზით მუშაობენ გარკეთილის მექანიზატორები. სარემონტო სახელოსნოში



ᲐᲤᲠᲘᲙᲘᲡ ᲐᲡᲡᲠ. ᲐᲮᲐᲚᲘ ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲐ ᲛᲣᲨᲐᲝᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲣᲑᲢᲠᲝᲞᲘᲙᲣᲚᲘ ᲛᲔᲣᲠᲜᲝᲑᲘᲡ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘᲡ ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲝ-ᲡᲐᲪᲓᲔᲚᲘ ᲛᲔᲣᲠᲜᲝᲑᲐ „ᲨᲕᲘᲠᲘᲡ“ ᲪᲔᲢᲠᲣᲡᲘᲡ ᲞᲚᲐᲜᲢᲐᲪᲘᲔᲑᲨᲘ. ᲔᲡ ᲐᲠᲘᲡ ᲮᲔᲮᲘᲚᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲬᲐᲛᲚᲐᲓ ᲒᲐᲜᲐᲣᲗᲕᲜᲔᲚᲘ ᲛᲔᲣᲠᲜᲝᲑᲐ „ᲝᲒᲢ-1 Ა“. ᲛᲔᲣᲠᲜᲝᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲮᲕᲐ ᲐᲒᲠᲔᲒᲐᲢᲔᲑᲘᲡᲐᲒᲐᲜ ᲒᲐᲜᲡᲮᲕᲐᲕᲔᲑᲘᲗ „ᲝᲒᲢ-1Ა“ ᲡᲐᲛᲯᲔᲠ ᲣᲤᲠᲝ ᲔᲤᲔᲥᲢᲘᲐ, ᲓᲐ ᲠᲐᲪ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘᲐ, ᲡᲐᲠᲬᲧᲐᲕᲘ-ᲡᲐᲥᲜᲘᲡ ᲛᲝᲬᲧᲝᲑᲘᲚᲝᲑᲐ ᲛᲔᲡᲘᲐᲜᲚᲔᲑᲘᲗ 10 ᲛᲔᲢᲠᲘᲡ ᲛᲐᲜᲫᲘᲚᲖᲔ (4-5 ᲛᲔᲢᲠᲘᲗᲘᲡ ᲣᲤᲝᲠᲘ ᲨᲝᲠᲡ, ᲕᲘᲓᲠᲔ ᲡᲮᲕᲐ ᲓᲐᲜᲐᲓᲒᲐᲠᲔᲑᲘᲗᲘᲡ).

• • •

ᲡᲣᲠᲐᲗᲘᲡ: „ᲝᲒᲢ-1Ა“ ᲛᲣᲨᲐᲝᲡ ᲓᲠᲝᲡ ᲪᲘᲪᲠᲣᲨᲔᲑᲘᲡ ᲜᲐᲠᲒᲐᲕᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲬᲐᲛᲚᲕᲐ ᲖᲔᲗᲝᲕᲐᲜᲘ ᲔᲛᲣᲚᲡᲘᲗ.

ᲤᲝᲢᲝ Ი. ᲞᲝᲡᲢᲝᲜᲔᲚᲘᲫᲘᲡᲐ. (ᲡᲐᲥᲔᲠᲡᲘᲡ ᲤᲝᲢᲝᲥᲠᲝᲜᲘᲙᲐ).

ᲛᲔᲣᲠᲜᲝᲑᲘᲡ ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲛᲔᲠᲘᲜᲯᲘ ᲛᲘᲠᲘᲐᲜᲘ ᲓᲐᲛᲢᲙᲘᲪᲔᲚᲘ ᲓᲐᲛᲐᲡ ᲛᲘᲡᲬᲠᲘᲡ ᲐᲓᲒᲘᲚᲘᲡ ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲛᲓᲒᲝᲠᲘ ᲒᲘᲠᲩᲔᲚᲐ.

ლენინის ფუძე ჩვენს ჰლანეტაზე

ვ. ი. ლენინის სამუშაო კაბინეტი, კრემლის ეს კუთხე ძვირფასია ყოველი საბჭოთა ადამიანისათვის. ყოველთვის, როცა ამ კაბინეტის მიჯნას გადაბიჯებ, ისეთი გრძნობა დაგეუფლება, თითქოს ვლადიმერ ილიას-ძე ლენინს ეს-ეს არის დაეტოვებინოს იგი. ამ კედლებს რომ ლაპარაკი შეეძლოთ...

აქ, ლენინთან რჩევისათვის მოდიოდნენ საბჭოების ახალგაზრდა რესპუბლიკის პარტიული და სახელმწიფო მოღვაწენი, მუშები და გლეხები. მიღიონობით უბილავი ძაფით იყო ეს ოთახი დაკავშირებული ქვეყანასთან.

აქ, ლენინთან რჩევისათვის ამხანაგური მხარდაჭერის მისაღებად ჩამოდიოდნენ საერთაშორისო კომუნისტური და შუშათა მოძრაობის გამოჩენილი მოღვაწეები. აქ, ამ ოთახში ილიჩთან სტუმრად იყვნენ გერმანიის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელები კლარა ცეტკინი, ვილჰელმ პიკი, იტალიის კომუნისტური პარტიის ერთ-ერთი დაარსებელი უმბერტო ტერაჩინი, ინგლისის კომუნისტური პარტიის გამოჩენილი ორგანიზატორი უილიამ გალაჰერი, საფრანგეთის კომუნისტური პარტიის უსუეცესი ხელმძღვანელი მარსელ კაშენი, იაპონიის კომუნისტური მოძრაობის ვეტერანი სენ კატაიამა, ბულგარელი ხალხის სახელოვანი შვილები გიორგი დიმიტროვი და ვასილ კოლაროვი, ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის თვალსაჩინო მოღვაწენი ბ. მმერალი და ა. ზაპოტოცკი, მონღოლეთის ლეგენდარული გმირი სუხე-ბატორი...

თაროზე ძველ ბულგარულ-რუსული ლექსიკონი, რომელიც ვლადიმერ ილიას-ძეს აჩუქეს ბულგარელმა კომუნისტებმა. თავფურცელზე გ. დიმიტროვის ხელით წარწერილია: „ჩვენ საყვარელ მასწავლებელსა და მსოფლიო პროლეტარული რევოლუციის შეუნაცვლებელ ბელადს ამხანაგ ლენინს“.

გიორგი დიმიტროვი ამაყობდა იმით, რომ ლენინის მოწაფე იყო. კომინტერნის III კონგრესის მუშაობის დღეებში ვლადიმერ ილიას-ძე ლენინმა იგი თავის კაბინეტში მიიღო. დიმიტროვი მას ღრმა ტყავის სავარძელში ჩაუსვამს და გამოუკითხავს ბულგარეთში რევოლუციის განვითარების ამბავი.

— როგორ ხორციელდება მუშათა და გლეხთა კავშირი? — ასეთი ყოფილა ლენინის ერთ-ერთი კითხვა.

როცა შეუტყვია, რომ ორგანიზაციულად ეს კავშირი ჯერ კიდევ განხორციელებული არ ყოფილა, ლენინი ჩაფიქრებულა და შემდეგ, გაუანალიზებია რა დიმიტროვის მიერ ჩამოყალიბებული ზოგიერთი ფაქტი, უთქვამს:

— საჭიროა საქმით განვახორციელოთ მუშათა კლასისა და გლეხობის მტკიცე კავშირი. არ დაივიწყოთ, რომ თქვენ უწინარეს ყოვლისა გლეხური ქვეყანა ხართ. უნდა დაიპყროთ წვრილმესაკუთრული გლეხური მასა, რათა გადამწყვეტ მომენტში დაუპირისპიროთ იგი რეაქციას.

ლენინთან კრემლში არაერთხელ ყოფილან უნგრეთის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელები ტიბორ სამუელი, ბელა კუნი, ლასლო რუდაში და სხვები. ვლადიმერ ილიას-ძე ლენინს ამ შეხვედრებზე ანტერესებდა ბასოლუტურად ყველაფერი — ისიც კი, თუ როგორ მოეწყვნენ ამხანაგები მოსკოვში, როგორ ჰამდნენ ისინი. „44 წლის შემდეგ, კვლავ წილად მხვდა ბედნიერება მივესულოყავი ვ. ი. ლენინის სამუშაო კაბინეტში, —იგონებს უნგრეთის კომპარტიის ვეტერანი ლაიოშ ნემეტი — ხელახლა ნახმა ნაკლებად როდი ამაღელვა“.

ცნობილი ფრანგი კომუნისტი პ. ვაიან-კუტურიე წერდა 1921 წელს ლენინთან შეხვედრების შესახებ: „ადამიანმა, რომელმაც შესძრა მთელი სამყარო, ვის შეგნებაშიც განუწყვეტლივ გარდაქმნებოდა ყველაფერი, რითაც ცოცხლობდა და სუნთქავდა ეს სამყარო, ამ ადამიანმა თავისი შეგნებული ცხოვრების დასასრულამდე შეინარჩუნა საოცარი უნარი ეგრძნო და ეაზროვნა ისევე როგორც ჩვენ კული, როგორც ზანგ მებარგულს. მას ისევე ესმოდა ჩაგრული ანამიტისა და ინდუსის, — იბრძვიან? ეს კარგია.

ბორდიგას გაუხსენებია ფაშისტებისადმი განსაკუთრებით გმირული წინააღმდეგობის რამდენიმე ეპიზოდი.

— ძალიან კარგია, — გაუმეორებია ლენინს. შემდეგ უთქვამს:— მუშათა კლასი შედამ იბრძვის იმ დემოკრატიული უფლებების მოპოვებისა თუ დაცვისათვის, რომლებიც ბურჟუაზიული ძალაუფლების ფარგლებიდაც კი შეზღუდულია, და, როცა მას ამ უფლებებს არომვევენ, იბრძვის, რათა შეინარჩუნოს ისინი...“

საზღვარგარეთელი კომუნისტები ხაზგასმით აღნიშნავენ, თუ რა უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ვ. ი. ლენინის რჩევას, იგონებენ ვლადიმერ ილიას-ძე ლენინთან საუბრების გულეთად და გულისხმიერ ხასიათს. კომინტერნის II კონგრესის მუშაობის ერთ-ერთ დღეს ლენინს მიუწვევია ჩეხის დელეგაცია.

„არასოდეს არ დამავიწყდება, — იგონებს ა. ზაპოტოცკი, —როგორ გაფაფაზა ჩემი, ილუსიები მაშინდელი მეგობრების, სოციალ-დემოკრატიის ლიდერების შესახებ: მაშინ ჯერ კიდევ მწამდა, რომ ეს ადამიანები დაემორჩილებოდნენ პარტიული მასების ნებას, ყრილობის გადაწყვეტილებებს, რომ ისინი არ დაეშვებოდნენ რეფორმიზმისა და ოპორტუნიზმის უფსკრულში...“

ლენინის იდეები და რჩევა-დარიგებანი აღაფრთოვანებდნენ აღმოსავლეთის კომუნისტებსაც. ამხანაგი სენ კატაიამა იგონებდა, რომ ლენინს ჩინეთის, იაპონიის, ინდონეზიისა და მონღოლეთის წარმომადგენლებთან ერთად განუხილავს საკითხები, რომლებიც თვითეულ მათ ქვეყანას შეეხებოდა, აგრეთვე ყველა ქვეყანასთან დაკავშირებული საერთო პრობლემები.

1918 წლის 23 ნოემბერს ლენინმა მიიღო ინდოეთის წარმომადგენლები, რომლებსაც მისთვის მეგობრობის წერილი დაუტოვებიათ.

მას შემდეგ დიდმა დრომ განვლო. და სულ ცოტა ხნის წინათ მოსკოვში მიმდინარეობდა კომუნისტური და შუშათა პარტიების საერთაშორისო თათბირი.

შეხვედრის მონაწილეთა — მოძმე პარტიების წარმომადგენელთა გამოსვლებში, თათბირის დოკუმენტებში განსაკუთრებული ძალით გაისმოდა ის, რომ ისინი აღიარებენ ლენინიზმის საერთაშორისო მნიშვნელობას, ლენინის უკვდავ იდეებს.

„ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის დაბადების 100 წლისთავის“ შესახებ თათბირის მიმართვაში ნათქვამია:

„ლენინიზმის ზემოქმედებით აღიზარდა მუშათა კლასის, ხალხის, სოციალიზმის საქმის უსაზღვროდ ერთგულ კომუნისტთა თაობები. ლენინის სიცოცხლე და მოღვაწეობა, მისი, როგორც რევოლუციონერის, ამხანაგის, ადამიანის მაღალი თვისებანი მუდამ აღმაფრთოვანებელი მაგალითი იქნება მთელი მსოფლიოს მილიონობით რევოლუციონერი მებრძოლისათვის“.

მ. ბარათიანცი,
ვ. კულიკოვი.
(საკდესის კორ.).

ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის აღსანიშნავად პალესტინელ პარტიზანთა ერთ-ერთ სასწავლო ბაზაში გაიხსნა ცნობილი საბჭოთა მხატვრების ფოტოგრაფიისა და ფოტორეპროდუქციების გამოფენა, რომელიც ასახავს რევოლუციის ბელადის ცხოვრებასა და მოღვაწეობას.

სურათზე: მებრძოლები ათვალიერებენ გამოფენას.

საკდესის ფოტოქრონიკა.

რევოლუციურ მებრძოლთა დროშა

გამოიცა ბრაზილიაში

რიო-დე-ჟანეირო, 25 მარტი. (საკდესი). ამ ბოლო 30 წლის მანძილზე ბრაზილიაში გამოვიდა ვ. ი. ლენინის ნაწარმოებთა დაახლოებით 300 ათასი ეგზემპლარი. ლენინის ნაშრომებმა დიდი გავლენა მოახდინეს ბრაზილიის კომუნისტური და შუშათა მოძრაობის განვითარებაზე.

რესპუბლიკის ხაზოგადოებრივ ცხოვრებაში დიდმნიშვნელოვანი მოვლენა იყო „ვ. ი. ლენინის თხზულებათა კრებულის“ სამტომეულის გამოცემა 1955-1956 წლებში, რომელიც პირველია ბრაზილიის ისტორიაში. ბრაზილიის კომუნისტურმა პარტიამ და სხვა პროგრესულმა ძალებმა შეძლეს ამ კრებულის გამოცემა დიქტატორული რეჟიმის მუდმივი რეპრესიებისა და დევნის მიუხედავად.

ბრაზილიაში არაერთხელ გამოუცია ლენინის ნაშრომები „რა ვაკეთოთ?“. „მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი“, „სოციალ-დემოკრატიის ორი ტაქტიკა დემოკრატიულ რევოლუციაში“, „ნაბიჯი წინ, ორი ნაბიჯი უკან“, „მარქსიზმი“ „ნაბიჯი წინ, ორი ნაბიჯი უკან“, „მემარცხენეობის“ საყმაწვილო სენი კომუნიზმში“. რამდენიმეჯერ გამოსცეს „სახელმწიფო და რევოლუცია“ და „იმპერიალიზმი, როგორც კაპიტალიზმის უმაღლესი სტადია“.

ბრაზილიაში გამოუშვეს აგრეთვე ლენინის სტატიების თემატური კრებულები. კერძოდ, კრებულები „მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირის შესახებ“, „მასებში პარტიის მუშაობის შესახებ“, „პროფკავშირების შესახებ“.

მეგობრულ ვითარებაში

თეირანი, 26 მარტი. (საკდესის სპეც. კორ.). გუშინ ირანის შაჰმა მოჰამედ რეზა ფეხლევიმ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ნ. ვ. პოდგორნის პატივსაცემად ნიავარანის სასახლეში სადილი გამართა.

სადილის დროს ირანის შაჰმა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ სიტყვები წარმოთქვეს.

სადილმა მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა.

ფლოვლიო

თანამშრომლობა მტკიცდება

ნ. ვ. პოდგორნი ირანში

თეირანი, 25 მარტი. (საკდესის სპეც. კორ.). დღის მეორე ნახევარში თეირანის მერის პირველი მოადგილე ნირუმანდი ეწვია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ნ. ვ. პოდგორნინს რეზიდენციას, მიესალმა საპატიო საბჭოთა სტუმარს ქალაქის მცხოვრებთა სახელით და გადასცა მუნიციპალიტეტის სამახსოვრო საჩუქრები.

ჩვენი ხალხი, თქვა ნირუმანდმა, მიესალმება მეგობრული ურთიერთობის წარმატებით განვითარებას საბჭოთა კავშირთან და დარწმუნებულია, რომ ნ. ვ. პოდგორნის ვიზიტი ხელს შეუწყობს კეთილმეზობლობის შემდგომ განმტკიცებას.

ჩვენი ქვეყნების ხალხებს შორის, მოსკოვისა და თეირანის მცხოვრებლებს შორის ოდითგანვე გაცხოველებული კავშირი იყო, თქვა საპასუხო სიტყვაში ნ. ვ. პოდგორნიმ. განსაკუთრებით მნიშვნელოვნად განვითარდა ეს კავშირი ამ ბოლო 50 წელიწადში. მოთავარი, რამაც გადამწყვეტი გავლენა მოახდინა, ის არის, რომ საბჭოთა კავშირისა და ირანის ურთიერთობა ახლა ემყარება პრინციპულად ახალ საფუძველს.

საბჭოთა კავშირ-ირანის ურთიერთობის დამახასიათებელი და განსაზღვრული პრინციპებია თანასწორუფლებიანობა, სუვერენულ უფლებათა პატივისცემა, ორივე მხარისათვის ხელსაყრელი კავშირურთიერთობა. ეს პრინციპები შეიმუშავა საბჭოთა სახელმწიფოს დამაარსებელმა ვ. ი. ლენინმა, რომელიც უდიდეს ყურადღებას უთმობდა ირანთან ჩვენი ქვეყნის მეგობრული ურთიერთობის განვითარებას.

ამჟამად, თქვა შემდეგ ნ. ვ. პოდგორნიმ, საბჭოთა კავშირსა და ირანს შორის ნაყოფიერად ვითარდება თანამშრომლობა ბევრ დარგში — ეკონომიკის, ტექნიკის, მეცნიერებისა და კულტურის დარგში. სულ უფრო უმჯობესდება კავშირი ჩვენი სახელმწიფოების დედაქალაქებს — მოსკოვსა და თეირანს შორის.

სრული საფუძველი გვაქვს ვთქვათ, რომ თეირანი, როგორც ირანის სახელმწიფოს პოლიტიკური, საქმიანი და კულტურული ცხოვრების ცენტრი, ისევე როგორც მოსკოვი, ასრულებს დიდმნიშვნელოვან როლს ჩვენი ქვეყნების ხალხთა მრავალმხრივი ურთიერთობის ჩამოყალიბებაში.

ჩვენ გვაქვს ფართო შესაძლებლობანი იმისათვის, რომ კიდევ უფრო განვავითაროთ კავშირი და თანამშრომლობა ჩვენს ქვეყნებსა და მათ დედაქალაქებს შორის. ნ. ვ. პოდგორნიმ მადლობა გადაუხადა თეირანის მუნიციპალიტეტს ყურადღებისათვის და ნირუმანდს გადასცა მოსკოვის მცხოვრებთა სამახსოვრო საჩუქრები.

საქმიანი მოლაპარაკებები

თეირანი, 26 მარტი. (საკდესის სპეც. კორ.). 26 მარტს მოეწყო სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ნ. ვ. პოდგორნისა და ირანის შაჰინშაჰის მოჰამედ რეზა ფეხლევის მოლაპარაკება. მეგობრულ ვითარებაში გაიმართა აზრთა სასარგებლო გაზიარება საბჭოთა კავშირ-ირანის ორმხრივი ურთიერთობის საკითხებზე, აგრეთვე თანამედროვე საერთაშორისო მდგომარეობის ზოგიერთ აქტუალურ პრობლემაზე.

მხარეებმა მაღალი შეფასება მისცეს სსრ კავშირისა და ირანის კეთილმეზობლური ურთიერთობის ახლანდელ მდგომარეობას და ხაზგასმით აღნიშნეს, რომ მზად არიან შემდგომშიც განავითარონ ეს ურთიერთობა სხვადასხვა დარგში სუვერენიტეტისა და თანასწორუფლებიანობის, ურთიერთპატივისცემის საფუძველზე. მოლაპარაკებამ ცხადყო აგრეთვე, რომ ორივე მხარე ერთნაირი შეფასებას აძლევს და ერთნაირი შეხედულებისაა მთელ რიგ საერთაშორისო პრობლემებზე.

გეირგეშენებით შეპაკეს

თეირანი, 26 მარტი. (საკდესი). დღეს დილით სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. ვ. პოდგორნი და მისი თანმხლები პირნი ჩავიდნენ თეირანის ახლომდებარე ქალაქ რეიში და გეირგეშენით შეაკეს რეზა შაჰ ფეხლევის აკლდამა. ნ. ვ. პოდგორნის ახლდა უფლისწული გოლიამ რეზა.

□ □ □

მთავრობის საწინააღმდეგო შეთქმულება

სანტიაგო, 26 მარტი. საკდესის კორესპონდენტი მ. არტიუშენკოვი იუწყება:

ჩილეში აღმოაჩინეს მთავრობის საწინააღმდეგო შეთქმულება. ოფიცერთა (მეტწილად გადამდგარ ოფიცერთა) და სამოქალაქო პირთა ჯგუფი ამზადებდა სახელმწიფო გადატრიალებას. შეთქმულთა მიზანი იყო დიმზოთ კონსტიტუციური მთავრობა და სამხედრო პირებისათვის გადაეცათ ხელისუფლება და ძალაუფლება.

დაკავებულია შეთქმულების 12 მონაწილე. გადამდგარი გენერლის ორასი კაცია ნუნეიესის მეთაურობით. ისინი მალე წარუდგებიან სამხედრო ტრიბუნალს.

სსრ კავშირის მარკით

ლონდონი, 26 მარტი. (საკდესი). „გაკეთებულია სსრ კავშირში“ — ასეთი მარკის ჩარხებს მალე შეფასებას აძლევენ ინგლისის საქმიანი წრეების წარმომადგენლები, რომლებიც ყოველდღე მოდიან ბრისტოლისა და უელსბორნის სადემონსტრაციო დარბაზებში. აქ გამოფენა-ვაჭრობაზე ეექსპონირებულია ეს პროდუქცია. ერთი კვირის განმავლობაში ინგლისის კომპანიებმა 350 ათას გირვანქა სტერლინგზე მეტი თანხის კონტრაქტები დადეს საბჭოთა ლითონსაჭრელი ჩარხებისა და სამეცადლო-საწნეხი მოწყობილობის შესაძენად.

სურათზე: პატრიოტები ეცილებიან უშენენ დამსჯელთა პოზიციებს.

ფოტო ბია-საკდესისა.

გაფიცვა დამთავრდა

ნიუ-იორკი, 26 მარტი. (საკდესი). აშკარა მეტაბოლ ტაქტიკამ, არმიის ქვეგანყოფების გამოყენებამ ყველაზე გადაუდებელი საფოსტო ოპერაციების შესრულებისათვის, რასაც ხელისუფლებმა მიმართეს, აგრეთვე პროფკავშირულ ხელმძღვანელთა არათანმიმდევრულმა მოქმედებამ საშუალება მისცეს ამერიკის შეერთებული შტატების ფედერალურ მთავრობას ჩაეხშო ფოსტის მუშაკთა საერთო ეროვნული გაფიცვა, რომელიც რვა დღეს გრძელდებოდა და შეაჩერა საფოსტო კავშირის მთელი სისტემის მუშაობა შეერთებულ შტატებში.

მას შემდეგ, რაც ფედერალური მოსამართლე ფ. ბრეიანი დაემუქარა ნიუ-იორკის ფოსტის მუშაკთა პროფკავშირს, 10 ათას დოლარ ჯარიმას გადაგადებენებთ გაფიცვის თვითეულ დღეშია, ხოლო მთავრობის წარმომადგენლები ბუნდოვნად დაპირდნენ, რომ „განიხილავდნენ ფოსტის მუშაკთა და მოსამსახურეთა შრომის პირობების გაუმჯობესების საკითხს“, პროფკავშირის თავმჯდომარემ გ. ჯონსონმა გაფიცვის მონაწილეებს მოუწოდა სამუშაოზე დაბრუნებულიყვნენ.

დღეს დილიდან ნიუ-იორკის ყველა საფოსტო განყოფილებაში დაიწყო ნორმალური საქმიანობა. ამერიკის შეერთებული შტატების სხვა 13 შტატში ფოსტის მუშაკები სამუშაოზე დაბრუნდნენ ერთი-ორი დღით ადრე.

დღეს ეამინტონში ოაუყება მთავრობის წარმომადგენლებისა და ფოსტის მუშაკთა პროფკავშირთა ხელმძღვანელების მოლაპარაკება.

ლონდონში სიმშვიდე არ არის

ლონდონი, 26 მარტი. (საკდესი). ჩრდილოეთ ირლანდიის პოლიციის საბრძოლოდაა გამზადებული ქვეყნის პოლიტიკური ვითარების გაუარესების გამო. პოლიციელებს გადაუღეს შვებულებანი, რადგან ხელისუფალთ ამნინებთ ასალი მოეღვარებანი საადგომო დღესასწაულების დროს.

უკანასკნელ დღეებში ქვეყნის რიგ ქალაქებში გახშირდა პოლიციასთან და ინგლისის ჯარებთან მოსახლეობის შეტაკებათა შემთხვევები, ოფსტერის საპროტესტო მოძრაობის მასშტაბით დამინებული უკიდურესი მემარჯვენენი აშკარა პოლიციურ და სამხედრო ტერორისათვის მოუწოდებენ.

დოკონული კანონპროექტი

ვაშინგტონი, 26 მარტი. (საკდესი). წარმომადგენელთა პალატის შინაგანი უშიშროების საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ რ. აიკორდმა კონგრესში შეიტანა დრაკონული კანონპროექტი, რომელიც „რეგლამენტს უწესებს საკონფიდენციალო ორგანოში დასწრე საზოგადოების „ქცევის წესებს“. ამ წესების დარღვევისათვის აიკორდმა მოითხოვა სასჯელი — 1 წლის პატიმრობა ან ათასი დოლარი ჯარიმა.

აგრესიისათვის დაქირავებულნი

ვაშინგტონი, 26 მარტი. (საკდესი). გაზეთი „ლოს-ანჯელეს ტაიმსი“ ბანგკოკიდან იუწყება, რომ ტაილანდის ჯარები მონაწილეობენ ლაოსის სამოქალაქო ომში.

„შარშან ლაოსში ქალაქ მუონგსუის — ქვეყნის ჩრდილოეთ ნაწილის სარკინიგზო კვანძის დაცვის დროს, ჯამოიყვანეს ტაილანდიან ორი საარტილერიო ბატალიონი, რომელსაც ამერიკელები ეხმარებოდნენ“, — წერს გაზეთი.

„ლოს-ანჯელეს ტაიმსი“ აღნიშნავს, რომ „ტაილანდის მზეკრავი თვითფრინავები აწვდიან ინობებს მტკერს საარტილერიო ცეცხლისა და ბომბების დაშენის მიზნით“.

„ლაოსის თვითეულ საშხედრო ოლქში არიან ტაილანდელი „კავშირგამეულობის სამსახურის ოფიცრები“.

გაზეთი აღნიშნავს, რომ გამოანგარიშების თანახმად, ლაოსის ომში მონაწილეობს 5 ათასამდე ტაილანდელი.

„გარკვეული თვალსაზრისით შეერთებულ შტატებს ტაილანდელები მიაჩნია, ლაოსში ხტრატეგიული საზღვლეთო შეიარაღებული ძალების რეზერვად. როცა ომი მწვავდება, თვითმფრინავებით მოაყავთ ტაილანდელები“, — წერს „ლოს-ანჯელეს ტაიმსი“.

გაზეთი აღნიშნავს, რომ „ტაილანდელები ჩამოდიან ამერიკული თვითმფრინავებით, მათ აიარაღებენ და წვრთნიან ამერიკელები და ამერიკელები უხდიან ჯამაგირს ხალხით, რომელიც მნიშვნელოვნად აღემატება ტაილანდის რეგულარული არმიის ჯამაგირების ხარჯს“.

ეხება რა ლაოსში ტაილანდის ახალი კონტინგენტის გაგზავნის საკითხს, „ლოს-ანჯელეს ტაიმსი“ ხაზს უსვამს, რომ „ტაილანდის მაღალი პოლიტიკური თრგანოები მზარს უჭერენ იმას, რომ ტაილანდელებმა უფრო დიდი უფრო აშკარა მონაწილეობა მიიღონ ლაოსის ომში“.

ახალ შენობა ტელევიზიურად

ისრაელის ყოველკვირეულ „ჯერუზალემ პოსტში“ გამოქვეყნდა იორდანიის ოკუპირებულ ტერიტორიაზე გასამხედროებულ დასახლებათა განლაგების რუკა. რუკას თან ახლავს რეპორტაჟი, რომლის არსს ცხადყოფს სათაური: „ახალშენების ზეიმნა ხეობაში“. ეს ისრაელის პრესის ჩვეულებრივი ბრაბანდია. აქ ორის ბიბილიის დამოწმებაც, იმ „ბრიგრესის“ რეკლამაც, რომელიც თითქოს აქ მოიტანეს ისრაელმა სპეციალისტებმ.

მაშინ, როცა ისრაელის საგარეო საქმეთა მინისტრი ანა ებანი დასავლეთ ევროპის ქვეყნებში მოგზაურობდა და ყველას არწმუნებდა მშვიდობისადმი თავის მისწრაფებაში, ჯარისკაცები სიჩქარით ქმნიდნენ ახალშენებს იორდანიის, სირიისა და ეგვიპტის ოკუპირებულ მიწებზე. ამრიგად, ისინი „ეშვიდად“, როგორც მოგვითხრობს „ჯერუზალემ პოსტი“, ახორციელებენ პრემიერ-მინისტრის მოადგილისა და განათლების მინისტრის იგალ ალონის გეგმას.

შემდეგ „ჯერუზალემ პოსტი“ წერს:

„ღრმული იორდანის ხეობაში ისრაელთა დაკვირვებული ყურადღების ობიექტი გახდა არა მარტო იმ დროიდან, როცა მათ მდინარე გადალახეს ხოზუასთან. ბეისანსა და მკვდარ ზღვას შუა გადაკიმოდა 70 კილომეტრ ტერიტორიაზე მიმდინარეობს მეტი წილი ბრძოლები არაბ დივერსანტებსა და ისრაელის ჯარებს შორის. და გადაწყდა სწორედ აქ, მრავალტანჯული ხეობის მისაღებიმებზე, განახორციელონ დასახლების გეგმა.

ალონის გეგმის თანახმად, როგორც შემოგვიანებულ იქნა ეცნობა დღის ომის შემდეგ, მუდმივი ახალშენებიუნდა განლაგდეს მდინარე ბიკას გაყოლებით (ასე ეწოდება ამ ხეობას ძველებრაულ ენაზე). დემილიტარიზებული ზონის დასავლეთ და აღმოსავლეთ სექტორებს შუა არაბებისათვის დატოვებულ უნდა იქნას ვიწრო კორიდორი. მაგრამ მდინარეზე გასასვლელს კონტროლს გაუწევენ ახალშენები, რომლებიც აქ ქმნიან ერთგვარ გამაგრებულ თავდაცვითს ხაზს.

ერთი ახალშენი შეიქმნა 1968 წლის დამდეგს ქალიში იმ ადგილის ახლოს, სადაც იორდანი ერთვის მკვდარ ზღვას სოფელ ბეისტრეტ ბა'არაბების გვერდით, რომელიც ჯერ კიდევ 1948 წელს დაანგრიეს. იმავე წლის ბოლოს ორი ახალი ახალშენი გაჩნდა ბიკაში. ერთი — მეხოლოში, ხეობის ჩრდილოეთ ნაწილში სამ კილომეტრზე ყოფილი საზღვრის „მწვანე ხაზის“ სამხრეთით. მეორე — არგამონში, ხეობის ცენტრში. 1970 წლის ჩანგარში ასეთი ტიპის კიდევ ორი დასახლება შეიქმნა არგამონის სამხრეთით — მასიფა და ქილგალი. მათი გახსნის (კერძომნიშვნელობა ერთერომა ორატორმა განაცხადა, რომ ისრაელის მთავრობა განიხილავს ხეობაში ასეთი დასახლებათა რიცხვის ერთეულად გადიდების პროექტებს. მან დასძინა, მათი რიცხვი შეიძლება ოცამდე „ეშვიდამდისო“.

„ჯერუზალემ პოსტის“ ეს ცნობა აშკარად მოწმობს, თუ რა მიზნით გაჩაღეს ომი ტელავივის ლიდერებმა. ოკუპანტების ჩანთიერის მიხედვით, ზღვინარე იორდანს მიტაცებული ხეობის ტერიტორიაზე მალე შეიქმნება ოცი ახალშენი — თითო ყოველი სამ კილომეტრზე, ოკუპანტების გაზრახვაა სამეთვალთვალო დარჩენა აქ. მათი ომი ავანტიკობა.

(ახალი ამბების საბჭოტ — „ლუმანიტე“).

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ

ᲛᲝ ᲯᲕᲐᲠᲘ ᲑᲐᲠᲐᲗᲘᲐᲜᲘ,
27 ᲐᲠᲘᲚᲘ, 1970 Წ.

ᲙᲔᲗᲘᲚᲛᲔᲖᲝᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

თეირანი, 26 მარტი. (საკდესის სპეც. კორ.). თეირანის პრესის, რადიოსა და ტელევიზიის ყურადღების ცენტრშია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ნ. ვ. პოდგორნის ოფიციალური ვიზიტი ირანში. დედაქალაქის გაზეთები პირველ გვერდზე ბეჭდავენ ნ. ვ. პოდგორნისა და ირანის შაჰის მოკაშედ რეზა ფეხლევის სიტყვებს სადილზე, რომელიც ირანის შაჰმა გაუმართა გუშინ ნ. ვ. პოდგორნის ნიავარანის სასახლეში.

დიდი სათაურებით „საბჭოთა კავშირ-ირანის საზღვარი მეგობრობის საზღვარია“, „მეგობრობის ბრწყინვალე ნიმუში“ გაზეთი „ამანდმბანი“ დღეს აღნიშნავს, რომ „ირანისა და სსრ კავშირის ხელმძღვანელთა შეხვედრებს მუდამ კარგი შედეგები მოქონდათ, ისინი ხელშეწყობ საფუძველს უქმნიდნენ ურთიერთხელსაყრელი ეკონომიური და სავაჭრო თანამშრომლობის გაფართოებას“.

შეგვიძლია გიმეფოდეთ, რომ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ვიზიტი ირანში, წერს გაზეთი, ახალი შედეგებით აღინიშნება ორი ქვეყნის ეკონომიური ურთიერთობის განვითარებაში, „ამანდმბანი“ აღნიშნავს, რომ ირანის მეგობრული ურთიერთობა თავის ჩრდილოელ მეზობლთან უკანასკნელი 10 წლის მანძილზე განსაკუთრებით წარმატებით ვითარდებოდა. ამ წლების განმავლობაში სსრ კავშირი გასდა ირანის უმნიშვნელოვანესი საგაჭრო პარტნიორი, ტექნიკურ დახმარებას გიწევენ ქვეყნის მეტალურგიული მრეწველობის შექმნაში. ტრანსირანული მაგისტრალური გაზსადენის, ელევატორების მშენებლობა, ჰიდროენერგეტიკული კვანძისა და ბევრი სხვა ობიექტის შექმნა, ხაზს უსვამს გაზეთი, ამ თანამშრომლობის მკვეთრმეტყველური მაგალითია.

გაზეთი „თეჰრან ჰერალდი“ ეხება საბჭოთა კავშირ-ირანის ურთიერთობას და აღნიშნავს, რომ ამ ურთიერთობის ძირითადი პრინციპები ჯერ კიდევ ვ. ი. ლენინმა გამოაცხადა, ალნიშნავს რა ვ. ი. ლენინის უდიდეს როლს ამ ურთიერთობის განვითარებაში, გაზეთი წერს: „ვ. ი. ლენინის ხსოვნას დიდ პატივს სცემენ ირანში. ჩვენს ხალხს ლენინი თავის დიდ მეგობრად მიაჩნია“.

გავლენიანი გაზეთი „ქეიხან ინტერნეშენალი“ შენიშნავს ბრატიზმ ხაზს უსვამს, რომ საბჭოთა კავშირ-ირანის საზღვარი მშვიდობის საზღვარია. დასასრულ იგი აცხადებს: ირანისა და საბჭოთა კავშირის ხალხები დიდ წარმატებას უსურვებენ თავიანთ ხელმძღვანელებს ორი სახელმწიფოს მეგობრობისა და თანამშრომლობის შემდგომი გაფართოების ღონისძიებებში.

ᲛᲨᲕᲘᲓᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲡᲐᲛᲢᲙᲘᲪᲔᲑᲚᲐᲓ

ᲞᲐᲠᲘᲖᲘ, 26 მარტი. (საკდესი). საფრანგეთის ოდერნოისეს საზღვრის დაცვის საზოგადოებამ გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიც ხაზგასმულია, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ომის შემდეგ ევროპაში შექმნილი საზღვრების ცნობას.

საზოგადოების ხელმძღვანელობა აცხადებს, რომ, თუ ყველა დაინტერესებული სახელმწიფო საჭიროდ დაადასტურებს ამ საზღვრებს „ეს იქნება გარანტია ყოველგვარი ძირგამომბრალი მოქმედებისა თუ რევანშის წინააღმდეგ. პოზიტიური აქცია ევროპის უშიშროებისა და საყოველთაო მშვიდობის განსამტკიცებლად“.

ᲡᲐᲥᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲡᲚᲔᲛᲐ

ᲑᲔᲠᲚᲘᲜᲘ, 25 მარტი. (საკდესი). დღეს მარზებურგში (ჰალეს ოლქი), სადაც უდიდესი ქიმიური საწარმოებია, გაიხსნა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს სხდომა, რომელიც მიიდინარეობდა გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის ვალტერ ულბრიხტის თავმჯდომარეობით.

სხდომა მიეძღვნა ქიმიური მრეწველობის მეცნიერული ორგანიზაციის პრობლემებს. ამ თემაზე მოხსენება გააკეთა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ქიმიური მრეწველობის მინისტრმა ჯიუნტერ ვიშოვსკიმ.

სახელმწიფო საბჭოს სხდომას ესწრებიან ქიმიური მრეწველობის მუშაკნი, საწარმოთა დირექტორები, პარტიული და სახელმწიფო დაწესებულებათა წარმომადგენლები.

ᲥᲕᲔᲘᲗᲐᲓ ᲛᲝᲡᲘᲐᲠᲣᲚᲔᲗᲐ ᲓᲐᲪᲕᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ᲢᲝᲙᲘᲝ, 26 მარტი. (საკდესი). კიოტოში გაიხსნა ჟურნალის მოძრაობის უსაფრთხოების საკითხებისადმი მიძღვნილი პირველი საერთაშორისო კონფერენცია.

კონფერენციაში, რომელიც მოეწყო იაპონიის პოლიციის მთავარი სამმართველოს ინიციატივით, 51 ქვეყნის 200-ზე მეტი წარმომადგენელი მონაწილეობს. მისი მონაწილეები, როგორც კიოდო ცუსინის საინფორმაციო იუწყება, გაანიხილავენ ქუჩის შემთხვევებისაგან ფეხით მოსიარულეთა და ბავშვთა დაცვის, სა. მთავრალის დროს ავტომობილის მართვის შემოხვევების ალმოფხვრის საკითხებს.

ᲞᲐᲠᲘᲖᲘᲡ Მ

27 მარტი თეატრის საერთაშორისო დღეა

სცენა — ჰუმანიზმის ტრიბუნა

ყოველ 27 მარტს აღინიშნება თეატრის საერთაშორისო დღე. ამას აქვს თავისი სიმბოლური მნიშვნელობაც — მარტი ხომ გაზაფხულის, ბუნების გაღვიძების თვეა, მუდამ სიხარულს რომ ჰგვრის ადამიანს. სწორედ ამიტომ არის, რომ მსოფლიოს თეატრალურმა მოღვაწეებმა გადაწყვიტეს გაზაფხულის ამ პირველი თვის მიწურულს აღნიშნონ თეატრის დღე. ეს არის დღე თეატრის ყოველი მუშაკის სოლიდარობისა და ურთიერთშეგობრობისა.

განსაკუთრებული ენთუზიაზმით აღინიშნება ხოლმე ჩვენში თეატრის საერთაშორისო დღე. ჩვენ ამ თარიღს ვუკავშირებთ საუკეთესო სპექტაკლებს, რომლებშიც ასახვა ჰპოვეს თანამედროვეობის აქტუალურმა პრობლემებმა.

წლევანდელი თეატრის საერთაშორისო დღე დიდ თარიღს ემთხვევა. ჩვენ მაუე აღვნიშნავთ მსოფლიო პროლეტარიატის ბელადის ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავს. ამიტომაც ბუნებრივია, რომ წლის თეატრის საერთაშორისო დღე სწორედ ვ. ი. ლენინის იუბილესთვის მზადების ნიშნით ჩაიარეს. ჩვენი თეატრის ყოველი წარმატება, ყოველი დიდი მიღწევა ბელადის სახელთან არის დაკავშირებული. სწორედ ვ. ი. ლენინს ჩრენვის მეოხებით იცვა ის, რომ საბჭოთა ხელისუფლების ბრიეტრაზე მთავრობამ უდიდები დოტაცია გაიღო თეატრებისათვის. ასეთმა მორალურმა და ეკონომიურმა მხარდაჭერამ თეატრი გაათავისუფლა კომერციაზე ფიქრისაგან.

როცა ვლადარაკომთ ლენინის დამოკიდებულებაზე თეატრის მიმართ, უნდა გავიხსენოთ, რომ იგი განსაკუთრებული ყურადღებით ეკიდებოდა თეატრს.

მრავალი საამისო ფაქტი შემოგვინახა ისტორიამ. აი თუნდაც ერთი მათგანი — 1919 წლის 3 მაისს მსოფლიო პროლეტარიატის ბელადი იწვევს თათბირს და განიხილავს საკითხს, თუ როგორ ვრცელდება მოსკოვის თეატრებში ბილეთები. აი ასეთ მნიშვნელობას ანიჭებდა იგი თეატრის ცხოვრების ყოველ უმნიშვნელო დეტალს...

ჩავიხედოთ სამხატვრო თეატრის დღიურებში, რამდენჯერ არის ლენინშეული, რომ ამა და ამ დღეს ამა და ამ სპექტაკლს ვლადიმერ ილიასძე ლენინი დაესწროთ.

ყოველდღიურად ზრუნავდა იგი თეატრალური ხელოვნების წინსვლაზე, თავისი შთამაგონებელი სიბრძნით ადამიანებს ასწავლიდა, რომ თეატრი ხალხის სამსახურში უნდა მდგარიყო.

თუ თვალს გადავავლებთ საბჭოთა თეატრალური ხელოვნების განვითარების გზებს, დავინახავთ, რომ საბჭოთა ხელისუფლების პირველ ორ წელიწადში ჩვენში შეიქმნა ასობით ახალი თეატრალური კოლექტივი. ბურჟუაზიული ხელოვნებისათვის დამახასიათებელმა პესიმიზმმა, ესთეტიზმმა და სხვა ათასგვარმა „იზმმა" გზა დაუთმო რევოლუციურ პათოსს, რომანტიკულ შემართებას, თეატრი ერთი მუჯა ადამიანების საკუთრება კი არა, ფართო მშრომელი მასების კუთვნილება გახდა.

ხელოვნება აღანთიბდა, კლასობრივი ბრძოლისაკენ მოუწოდებდა და ცხოვრების ნამდვილ გზას უჩვენებდა ხალხს. გავიხსენოთ, თუ რა როლი ითამაშა კ. მარქსანიშვილის მიერ კიევში დადგმულმა „ცვრის წყარომ". მაყურებელი ინტერნაციონალის სიმღერით ტოვებდა დარბაზს და სპექტაკლიდან პირდაპირ ბრძოლის ხაზზე მიემართებოდა, რათა ულმობლად შებრძოლებოდა რევოლუციის მონაპოვართა მტრებს.

საბჭოთა თეატრი ყოველთვის მონაწილეობდა ჩვენი ქვეყნის დიდი მნიშვნელობის საქმეებში. არ ყოფილა ისეთი მოვლენა, რომ თეატრს არ ეთქვას თავისი სიტყვა, „არ გაეწიოს მოწინავე იდეების პრომაგანდა.

თავის მხრივ ამ გარემოებამაც გაზარდა ჩვენი თეატრი, იგი დაიკავა და დღეს გვევლინება იმ შემოქმედებით ბირთვად, რომელიც ჩვენს ხალხს მზნედ უდგას გვერდით.

უკანასკნელ წლებში ფართო გავრცელება ჰპოვა თეატრისა და მაყურებლის ურთიერთობის ახალმა ფორმამ. ეს არის „ხელოვნებისა და შრომის კავშირი". თეატრები ახლო მეგობრულ ურთიერთობას ამყარებენ ფაბრიკა-ქარხნებთან, მუშებთან. კოლეგიურნეობებთან. აპრილში გაიმართება საკავშირო ლენინური შაბათობა. ამასთან დაკავშირებით შუსანიშნავი ინიციატივა წამოიწყო კ. სტანისლავსკისა და ვ. ნემიროვიჩ-დანჩენკოს სახელობის მოსკოვის მუხიკალურმა თეატრმა. 11 აპრილს ამ თეატრის მსახიობები და რეჟისორები დადგებიან ლენინური შაბათობის შრომითს ვაგონში, აჩენენენ თავიანთ სპექტაკლებს და შემოსავალს მთლიანად გადასცემენ ხუთწლიის დრეულად შესრულების ფონდში.

ქართული საბჭოთა თეატრი მუდამ წინა პლანზე იდგა. ნისმა საუკეთესო მოღვაწეებმა იცოდნენ, რომ თეატრი ხალხის მსახური უნდა იყოს. არ შეიძლება აშენო მომავალი, თუ არ იქნა იდეისადმი თავდადება. ხელოვანი იუბილეს პირნათლად შესაბეჭდრად ბევრი რამ კეთდება. ამას წინათ საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრომ და მწერალთა კავშირმა გამოაცხადეს კონკურსი საუკეთესო პიესებზე. კონკურსმა ჩინებული შედეგი გამოიღო. გამოვლინდა პიესები, რომლებიც უთუოდ წამყვან ადგილს დაიკავებენ ჩვენი თეატრების რეპერტუარში. მაგრამ ეს კიდევ ცოტაა, საჭიროა მოლანად აღიკვეთოს და აღმოიფხვრას ქართული თეატრის „რეპერტუარული შიმშილი", შეეჭიმის პიესები, რომლებიც დაამშვენებენ ჩვენს თეატრალურ ოფიშას.

ახლა საქართველოს თეატრებში ეროვნულობული შემოქმედებითი მუშაობა მიმდინარეობს, სარეპეტიციო დარბაზებში შემოქმედებითი აღმავლობით მზადდება დიდი ბელადის იუბილესადმი მიძღვნილი სპექტაკლები. ამ თვალსაზრისით შეტად საყურადღებოა ის გარემოება, რომ ყველა საუბილეო სპექტაკლი ქართველ დრამატურგთა კალამს ეკუთვნის და ქართულ სინამდვილეს ასახავს.

დღეს ჩვენი თეატრებისათვის არ არსებობს იმაზე უმნიშვნელესი მისია, ვიდრე ბელდამშვენებული, ახალი შემოქმედებითი აღმავლობით შეხვდენ დიდი ბელადის იუბილეს.

და ეს მისია მხოლოდ „საბჭოთა თეატრალური მოღვაწეობის წინაშე კი არა დგას, ეს სულისკვეთება ასაზრდოებს მსოფლიოს პროგრესული თეატრალურ მოღვაწეებს. ბრძოლა ყოველდღიურად მოაქვს ამის დამადასტურებელი ცხოვრები. სწორედ ამაში ჰპოვებს თავის გამოხატულებას თეატრის მუშაკთა სოლიდარობა, სწორედ ეს არის თეატრის მოღვაწეთა უმნიშვნელესი გალი. ჩვენ ყველანი უნდა გვესახურებოდეთ ჰუმანიზმის საქმეს.

დ. ანთაძე.

საქართველოს თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარე, საერთაშორისო თეატრალური ინსტიტუტის საბჭოთა ეროვნული ცენტრის აღმასრულებელი კომიტეტის წევრი.



აჭარა. ჭოროხის ხეობა.

იურიდიული ცოდნა — მასებს!

მოწმის როლი და პასუხისმგებლობა

სისხლის სამართლის საქმის გამოძიებისა და განხილვისას მოწმის ჩვენება ერთ-ერთი ძირითადი დამამტკიცებელი საბუთია დანაშაულის მხილებაში.

წინასწარი გამოძიებისას მოწმე შეიძლება დაკითხულ იქნას ყველა იმ გარემოების შესახებ, რომელიც უნდა დადგინდეს ამ საქმეზე, მათ შორის ბრალდებულის და დაზარალებულის პიროვნების, მათი ურთიერთდამოკიდებულების, მათთან ოვით მოწმის დამოკიდებულების შესახებ და სხვ.

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი არ აწესებს ასაკობრივ ფარგლებს მოწმისათვის. მაგრამ 157 მუხლში მითითებულია, რომ თოთხმეტი წლის ასაკამდე, ხოლო თუ გამომძიებელი, მოსამართლე საჭიროდ ცნობენ თერამეტი წლის ასაკამდეც, მოწმესთან ერთად დაკითხვის დროს დაბარებულ უნდა იქნეს პედაგოგი (საჭიროების შემთხვევაში იბარებენ მშობლებსაც ან სხვა კანონიერ წარმომადგენლებს). მოწმეს, რომელსაც თექვსმეტი წელი არ შესრულებია განემარტება, რომ აუცილებელია სწორი ჩვენების მიცემა.

ჩვენი კანონმდებლობა დამნაშავის ან დაზარალებულის ოჯახის წევრებს — მშობლებს, შვილებს, ქმარს, ცოლს და ნათესავებს არ ათავისუფლებს მოწმის ჩვენების მიცემისაგან, ვინაიდან მართლმსაჯულების ინტერესებმა შეიძლება აუცილებელი გახადოს ამ პირთა დაკითხვაც.

ამის ნათელი მაგალითია შ. თიღილაურის სისხლის სამართლის საქმე. გარდაბნის რაიონის სახალხო სასამართლოს 1969 წლის 22 ოქტომბრის განაჩენით იგი დამნაშავედ იქნა ცნობილი სისხლის სამართლის კოდექსის 241 მუხლის მესამე ნაწილით და მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა რვა წლის ვადით. შ. თიღილაურს ბრალი ედებოდა იმაში, რომ 1968 წლის 25 სექტემბერს მთგრალი მართავდა ტრაქტორს, დაბა ვაზიანთან დაარღვია მოძრაობის წესები, მანქანა გადაატრუნა, რის შედეგადაც ტრაქტორზე მჯდომი კ. ლეფთერიოვი მძიმედ დაშავდა და საავადმყოფოში მიყვანისთანავე გარდაიცვალა. გამომძიებას და სასამართლოს რომ არ დაეკითხათ, დაზარალებულ ლეფთერიოვის შვილი შ. ლეფთეროვი, რომელიც ავტოსაგზო მშენებელ ტრანსპორტზე ოდდა და არ დაეჯერებინათ მისი ჩვენებისათვის, დანაშაული ბეკნელი დარჩებოდა.

ჩვენების მიცემაზე უარის თქმისა ან თავის არიდებისათვის მოწმე პასუხს აგებს საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 198 მუხლით, რომლითაც სასჯელის ღონისძიებად გათვალისწინებულია გამასწორებელი სამუშაოები ექვსი თვის ვადით ან ჯარიმა ორმოცდაათ მანეთამდე ანდა საზოგადოებრივი გაკიცხვა.

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 197 მუხლის პირველი ნაწილით მოწმე, დაზარალებული და საქმეზე დაკითხული სხვა პირები შეგნებულად ცრუ ჩვენების მიცემისათვის „დაისჯებიან თავისუფლების აღკვეთით ორ წლამდე.

სახალხო სასამართლის განაჩენით გარდაბნის რაიონის მცხოვრებები გ. ზინდრიშვილი, გ. ხაჩიაშვილი და ვ. პაპიაშვილი მსჯავრდადებულ იქნენ იმისათვის, რომ შეცვალეს წინასწარ გამოძიებაში მიცემული ჩვენებანი და შეეცადნენ ცრუ ჩვენების მიცემით ეხსნათ სამართალში მიცემული, რომელსაც ბრალად ედებოდათ სახელმწიფო თანხების დიდი ოდენობით მითვისება.

სახალხო სასამართლოს 1969 წლის 25 სექტემბრის სამსჯავრო სხდომის განაჩენებით სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიეცემულ იქნენ მოწმე დ. აბდულაევი და ზაზარალებული ა. ახმედოვი იმისათვის, რომ მათ სასამართლოს შეგნებულად მისცეს ცრუ ჩვენებანი და შეეცადნენ სამართალში მიცემული ტ. ალიევის სასჯელისაგან განთავისუფლებას.

1969 წლის ივლისში თბილისის ზღვაზე რესტორან „იორის" № 3 პავილიონის მიმტანმა ლ. პრონინამ ორ მოქალაქეს სადილში ზედმეტად გადაახდევინა 7 მანეთი. მან მაშინვე აღიარა თავისი, დანაშაული, შემდეგ მოიფიქრა გამოსავალი და განაცხადა, რომ მაგიდები აერია და ერთი მაგიდის ანგარიში მეორეს წარუდგინა. ლ. პრონინამ ცრუმოწმეც იშოვნა და ამ გზით უნდოდა სასჯელისაგან თავის დაფარვა. მაგრამ სასამართლო პროცესზე ყველაფერი დადგინდა და ცრუმოწმე პ. არუშანიანი კერძო განჩინებით სისხლის სამართლის პასუხისგებაში იქნა მიცემული.

ცრუმოწმეობით მოქალაქე დანაშაულის ხელშემწყობი და თანამონაწილე ხდება. ამიტომ ყოველი პატიოსანი ადამიანი თავს მოვალედ უნდა თვლიდეს დაეხმაროს საგამომძიებელო ორგანოებს „ბეშმარიტების დადგენაში", იყოს გულწრფელი, ობიექტური, საქმეზე დაკითხვისას თავიდანვე მისცეს სწორი ჩვენება.

დ. იაშვილი,

გარდაბნის რაიონის სახალხო სასამართლოს თავმჯდომარე.

რევანშის ნაცვლად...

მეტად რთული ამოცანის წინაშე იდგნენ თბილისის დინამოელები გუშინ. გუნდთან, რომელმაც დაამარცხა ისინი 17 ქულით, ორჯოდე კვირის შემდეგ რეგანშის აღება 18 ქულით ადვილი საქმე რომ იყო. აქ ლაპარაკია კალათბურთში თასების მფლობელთა თასის გათამაშების ნახევარფინალურ მატჩებზე ნეაპოლის „ფიდესისა" და თბილისის „დინამოს" გუნდებს შორის.

ამ დამარცხებას ხსნიდნენ ცუდი მსაჯობით, სხვადასხვა მიზეზებით. მაგრამ წინ იყო გადამწყვეტი შეხვედრა ფინალის საგზურისათვის. დინამოელებს საკმაო დრო ჰქონდათ წვრთნისა და დასვენებისათვის. საკუთარ კიდლებსაც ხომ გარკვეული მნიშვნელობა ჰქონდა.

და აი მეტოქეები პირისპირ იდგნენ სპორტის სასახლეში. სტუმართა ხუთეულში გხედავთ ორ მაღალი ტანის ათლეტურ ზანგს უილიამსსა და აიკენს. ეს ის კალათბურთელებია, რომელთა თამაშზე აგებს „ფიდესის" გუნდის ხელმძღვანელობა ყოველ მატჩს და უნდა ითქვას სავსებით სამართლიანადაც. გავიხსენოთ ნეაპოლის მატჩი. სწორედ უილიამსმა მოუტანა იტალიელებს 31 ქულა.

თბილისელებს მთლიანად გუნდზე და ცალკეულ კალათბურთელთა თამაშზე უჭვი ჰქონდათ გარკვეული წარმოდგენა, მაგრამ სამწუხაროდ ამჯერადაც ისინი ვერაფერს გახდნენ სწორედ ამ ორი კალათბურთელის წინააღმდეგ. მაგალითად, აიკენმა, რომელმაც ხუთი პერსონალური შენიშვნა დატოვა მოედანი, თავის გუნდს უკვე 23 ქულა მატუნა, რაც შეეხება უილიამსს, იგი თითქმის ორივე ტაიმს თამაშობდა და მხოლოდ ორი პერსონალური შენიშვნა მიიღო. არც ის უნდა დავიწყოთ, რომ ჩინებულად თამაშობდნენ მადფეტი, ბუფალინი, აბატე და სხვები.

ბა შეიძლება იმაზეც დინამოელთა თამაშზე. ისინი ამ შეხვედრისათვის მოემზადებელნი ალმოჩნდნენ. მეტოქეები მათ სჯობდნენ ტორაცებში, ფარეკვეში, საზრიანთამაშში, კომბინაციებში, ტემპში. წინასწარდასახელობანი პირველი ტაიმის ათი ქულით, მოგებაზე მხოლოდ ოცნება ალმოჩნდა, პირიქით იტალიელებმა მოიგეს ტაიმი 7 ქულის სხვაობით — 45:38. დინამოელები ვერც მეორე ნახევარში გახდნენ ვერაფერს. მასპინძლებმა წაგეს მატჩი 83:88.

ამრიგად, თბილისის „დინამო" გამოეთიშა თასისთვის მებრძოლთა რიგებს, იტალიის „ფიდესი" კი ფინალში გავიდა. მთავარი ის კი არ არის ამა თუ იმ წარუმატებლობას მოვუძებნოთ გასამართლებელი მიზეზები, არამედ ჩაუცვიდეთ არსებულ ნაკლოვანებებს, ვეცადოთ მათ გამოსწორებას, მეტი ყურადღება დავუთმოთ ვარჯიშს, მომზადებას.

ჟ. ბაბელია.

ჩემპიონობა ოთხი ტურით ადრე

უმაღლესი ლიგის ფრენბურთელ ქალთა გუნდებს საკავშირო პირველობის დასკვნითი ეტაპი მოსკოვში აქვთ. მართალია, ტურნირი ჯერ არ დამთავრებულა, მაგრამ ჩემპიონი უკვე ცნობილია. ოქროს მედლები მოიპოვეს მოსკოველ დინამოელებმა. მორიგ ტურში „დინამომ" დაამარცხა მინსკის სპარტაკელები 3:0, ხოლო არმიის ცენტრალური სასპორტო კლუბის ფრენბურთელებმა წაგეს მატჩი ოდესის „ბურევესტნიკთან" 0:3. ამრიგად, დინამოელები უკვე მიღწეულნი გახდნენ, მათ 17-დან 16 ქულა შეაგროვეს.

ამავე ტურში ლენინგრადის „ბურევესტნიკმა" სძლია ბაქოს „ნეფტიანიკს" 3:2 და ცსკა-სთან ერთად თერთმეტი ქულა აქვს. ვერცხლის მედლის მოსაპოვებლად იბრძვიან ცსკა-ს, ოდესისა და ლენინგრადის „ბურევესტნიკის" გუნდები.

საპაპაშვილი ჩემპიონატის გადამწყვეტი შეხვედრები ამჟამ ალრეთვე ეშმაღლესი ლიგის ფრენბურთელთა ალაზე ეკონდებს. აქ წინ არიან არმიის ცენტრალური სასპორტო კლუბისა და ალმა-ათის „ბურევესტნიკის" ფრენბურთელები. ხარკოვის ჯგუფში ლენინგრადის „ავტომობილისტმა" მძაფრ ბრძოლაში დაამარცხა გასული წლის ბრინჯაოს პრიზიორი რიგის „რადიოტექნიკა" 3:1. ხარკოვის „ბურევესტნიკისა" და ირკუტსკის „დინამოს" მატჩის შედეგია 3:1 ხარკოველთა სასარგებლოდ.

საქალაქო პირველობა

თბილისში დამთავრდა საქალაქო პირველობა ჭადრაკში ქალთა შორის. ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქის ჩემპიონობა დაიმსახურა პირველთანრიგოსანმა ლ. კოროშინაძემ, რომელმაც 8 შესაძლებლიდან 6,5 ქულა შეაგროვა.

ჩემპიონს ნახევარი ქულით ჩამორჩა მ. სანაძე და მეორე საპრიზო ადგილი დაიკავა. მესამე და მეოთხე ადგილები გაიყვეს ს. ივანოვამ და თ. კაჭარავამ. თვითეულმა მათგანმა 5,5 ქულა შეაგროვა. ხუთ-ხუთი ქულა შეაგროვეს და ზემოდ დასახელებულ მოჭადრაკეებთან ერთად საქართველოს პირველობის გათამაშების ფინალში მონაწილეობის უფლება მოიპოვეს მ. დათაშვილმა და ნ. ხუბულურმა.

გადამწყვეტი შეხვედრების წინ

25 მარტს მატჩებს მსოფლიო ჩემპიონატის სატურნირო ცხრილში არსებითი ცვლილებები არ შეუტანია. როგორც ვიუწყებოდით, ამ დღეს საბჭოთა პოკეისტებმა მოუგეს პოლონეთის გუნდს 11:0 და კიდევ ლიდერები არიან. ჯვიან ლამით კი შედგა ჩეხოსლოვაკიის და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის გუნდების მატჩი. არც ამ ვეფიფოლგარი მოულოდნელობის მოწმენ, ჯამაჩრეულ ჩეხოსლოვაკიელებმა 7:3. გუშინ საბჭოთა პოკეისტები ისვენებდნენ. ჯვიან ლამით შედეგ მხოლოდ ერთი მატჩი ფინეთისა და შვეიცარის ნაკრებთა შორის.

დღესაც ერთადერთი თამაში შედგება. მსოფლიოს ჩემპიონები — საბჭოთა პოკეისტების წინააღმდეგ ითამაშებს ჩეხოსლოვაკიის ნაკრები. როგორც ცნობილია, პირველ წრეში წარმატება სსრ კავშირის გუნდს ხვდა. ჩანს ყველაზე მნიშვნელოვანი მატჩე უკანასკნელი დღის — 30 მარტის მატჩი იქნება სსრ კავშირისა და შვეიცარიის პოკეისტთა შორის.

მეთამაშეების ცხრილი

მდგომარეობა 26 მარტისათვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ქ.	ქ.
სსრ კავშირი	8	7	0	1	60-9	14
შვეიცარია	7	5	1	1	35-14	11
ჩეხოსლოვაკია	8	5	1	2	43-20	11
ფინეთი	7	4	0	3	20-23	8
გერმ.	8	0	1	7	11-45	1
პოლონეთი	8	0	1	7	8-80	1

ესკარეზოებათა კანონრამა

● **ბუენოს** ოსოკოვში გაიმართა მეორე ნახევარფინალური მატჩი კალათბურთში ევროპის ჩემპიონობა თასზე ვიეთა-გერმანიათა შორის. თამაშობდნენ არმიის ცენტრალური სასპორტო კლუბისა და პრაღის „სლავიას" გუნდები. წარმატება, საბჭოთა კალათბურთელებს ხვდათ ანგარიშით 113:75 და ფინალში გავიდნენ, სადაც შეხვდებიან იტალიის „ინისს".

● **ბუენოს** ლენინგრადში დაიწყო დიდი ტურნირი ცურვაში ბუენოს „კომსომოლსკაია პრავდის" პრიზზე. ამ სპორტზობას წინ უძღოდა 20 ნოსტალური შეჯიბრება. გარდა საბჭოთა მცურავებისა, შეჯიბრებაში მონაწილეობას ბიციენენ ბულგარეთის, უნგრეთის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, დიდი ბრიტანეთის, იტალიის, რუმინეთის, პოლონეთის, საფრანგეთის და იუგოსლავიის სპორტსმენები.

● **იტალიის** კალათბურთელთა საკლუბო გუნდმა — „ინისმა" მეორე ნახევარფინალურ მატჩში დაამარცხა მადრიდის „რეალი" 108:73 და ევროპის ჩემპიონთა თასის გათამაშების ფინალში გავიდა. ფინალი შედგება 9 აპრილს სარაევოში.

დუბლიორთა შეხვედრა

ბუენოს რესთაველზე გაიმართა „ა" კლასის უმაღლესი ჯგუფის ბუნდოვანი საკავშირო ტურნირის მორიგი მატჩი ფეხბურთში. თამაშობდნენ მოსკოვის „სპარტაკისა" და თბილისის „დინამოს" გუნდები. მეტოქეებს ბურთი არ გაუტანიათ — ფრე.

ცამეტი ტურის შემდეგ

ბელგრადის ქალთა საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირი დასასრულს უახლოვდება.

მეცამეტე ტურში გაფრინდაშვილის წინააღმდეგ შავებით ფიერი თამაშობდა. ამ უკანასკნელმა კირჩია ესპანური პარტიის მწვავე ვარიანტი, გაბედულად შესწირა პაიკი, მაგრამ შემდგომ დაუშვა ტაქტიკური შეცდომა და ფერარი დამარცხდა. კუშნირმა მე-13 ტურშიც გადადო პარტია. ამჯერად ტიმერთან. პოზიცია დაახლოებით თანაბარია. მალიპეტროვა და კ. ივანოვიჩი ყიამზე შეთანხმდნენ. დანარჩენი პარტიები გადადიდ.

13 ტურის შემდეგ გაფრინდაშვილს 11 ქულა და 1 გადადებული პარტია აქვს, კ. ივანოვიჩს — 8 (2), მალიპეტროვას — 8 (1), კუშნირს — 7,5 (5).

დღეს რვა მატჩია

27 მარტი ფეხბურთში საკავშირო ჩემპიონატის მორიგი ტურის დღეა „ა" კლასის უმაღლესი ჯგუფის გუნდებისათვის. სულ შედგება რვა შეხვედრა. მატჩები გაიმართება თბილისში, ქუთაისში, დონეცკში, ბაქოში, ოდესაში, ტაშკენტში, ერევანსა და ორჯონიკიძეში.

ამ დღის ცენტრალურ ასპარეზობას წარმოადგენს თბილისის მატჩი, სადაც ერთმანეთს შეხვდებიან სსრ კავშირის ჩემპიონი მოსკოვის „სპარტაკი" და თბილისის „დინამო". მართალია, სპარტაკელები, რომლებმაც პირველ ორ მატჩში ორი ქულა დაკარგეს (ქუთაისის „ტორპედოსთან" და ერევნის „არარატთან" — 1:1), ალბათ შეეცდებიან ძალთა მთელი მობილიზებით ითამაშონ დინამოელთა წინააღმდეგ.

მძიმე მატჩი მოელით ქუთაისის ტორპედოელებს საკუთარ მოედანზე კიევის „დინამოსთან". როგორც ცნობილია, კიეველებმა განვლილ ორ ტურში ორი ქულა დაკარგეს, ეს ალბათ ელებმა. — სამაუნდა ვივარაუდოთ, რომ მატჩი იქნება შეუპოვარი, უკომპრომისო.

საზღვარგარეთ ტურნეს შემდეგ ჩემპიონატში ებმება მოსკოვის „დინამო". დინამოელები დონეცკს ეწვევიენ და დღეს ითამაშებენ „შახტიორის" წინააღმდეგ. ბაქოში პაექრობა ექნებათ ადგილობრივი „ნეფტჩისა" და მინსკის „დინამოს" გუნდებს. ოდესაში „ჩერნომორეცის" წინააღმდეგ გამოვა ვოროშილოვგრადის „ზარია". მესამე მატჩს მართავს საკუთარ მოედანზე ტაშკენტის „პახტაკორი", ამჯერად მისი მოწინააღმდეგე იქნება არმიის ცენტრალური სასპორტო კლუბის გუნდი. ერევანში ერთმანეთს შეხვდებიან „არარატი" და ლენინგრადის „ზენიტი", ორჯონიკიძეში — მოსკოვის „ტორპედო" და ორჯონიკიძის „სპარტაკი".

რა ვნახოთ, რა მოვისმინოთ

ტელევიზია

27 მარტი

10.05 — უმაღლეს სასწავლებლებში შემსვლელთა დასახმარებლად — ლექცია ქიმიაში, 10.35 — ლექცია ქართულ ენაში, 11.05 — მოსწავლეთათვის — მხატვრული ფილმი „მამაჩემი კაპიტანია", 18.05 — ახალი ამბები, 18.10 — განცხადებები, 18.15 — ფეხბურთი საბჭოთა კავშირის პირველობაზე — „დინამო" თბილისი — „სპარტაკი" მოსკოვი, 20.00 — თეატრის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი გადაცემა, 20.40 — „კინონიერების სადარაჯოზე", 20.55 — მსოფლიო ჩემპიონატი ჰოკეიში. საბჭოთა კავშირი-ჩეხოსლოვაკია. მეორე და მესამე პერიოდი (ვადმოცემა შვეიცარიიდან), 22.15 — „მოამბე" — საინფორმაციო პროგრამა, 22.40 — „ტელეფეტორინა".

თეატრები

27 მარტი

ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — გორდა (დღისით), დაისი (საღამოს, მე-14 აბონ. მე-5 წარმოდგენა); **რუსთაველის სახელობის** სახელმწიფო აკადემიური — სეხოანელი ქეთილი ადამიანი; **მარჯანიშვილის** სახელობის სახელმწიფო აკადემიური — ფიოლა (დღისით), ძველი ვოდევილები (საღამოს); **ვახო აბაშიძის** სახელობის მუსიკალური კომედიის — სიმღერა თბილისზე (დღისით), ჯერკას ქორწილი (საღამოს); **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — ჯორი (№ 9 და 21 აბონ. დღის 11 ს. და 30 წ.), ძია ელიოზი (№ 39 აბონ. 5 ს. და 30 წ.); **თოჯინების ქართული** — ხუთკუნტელა (11 ს. 39-ე სკოლა, 1 ს. 62-ე სკოლა).

რედაქტორის მოადგილე
ბ. თათარიშვილი.

საქართველოს ზოოტექნიკურ-სავეტერინარო სასწავლო-საკვლევი ინსტიტუტი

აცხადებს ასპირანტურაში მიღებას 1970 წლისათვის წარმოებისაგან მოწყვეტით შემდეგ სპეციალობებზე:

ბიოქიმია — 1 ადგილი, კერძო ზოოტექნია — 1, კლინიკოფოლოგია — 1 ადგილი.

ასპირანტურაში წარმოებისაგან მოწყვეტით მიიღებიან სსრ კავშირის მოქალაქენი არა უმეტეს 35 წლისა, რომელთაც დამთავრებული აქვთ უმაღლესი სასწავლებელი, გამოიჩინეს სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის უნარი და აქვთ მუშაობის სტაჟი არანაკლებ ორი წლისა არჩეული სპეციალობის მიხედვით. უმუალოდ უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების შემდეგ ახალგაზრდა სპეციალისტები ასპირანტურაში მისაღებ გამოცდებზე დაიშვებიან უმაღლესი სასწავლებლის სამეცნიერო საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების საფუძველზე. ასპირანტურაში შემხვლელნი მისაღებ გამოცდებს აბარებენ სპეციალურ საგანში, სპეკ ისტორიაში და ერთ-ერთ უცხო ენაში.

განცხადებაში უნდა იქნას ინსტიტუტის რექტორის სახელზე შემდეგი საბუთების დართვა: 1. კადრების აღრიცხვის პირადი ფურცელი ფოტოსურათით და ავტობიოგრაფია, 2. უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების დიპლომის დამოწმებული პირი, 3. დახასიათება მუშაობის ან სწავლის უკანასკნელი ადგილიდან, 4. ოფიციალური მუშაობის სტაჟის შესახებ, 5. გამოქვეყნებული შრომების სია. ის პირები, რომელთაც გამოქვეყნებული შრომები არა აქვთ, ვალდებულნი არიან წარმოადგინონ სამეცნიერო მენსანება (რეფერატი) სპეციალური საკნის. შესაბამისი ნაწილიდან, 6. ამონაწერი სამეცნიერო საბჭოს სხდომის ოქმიდან იმ პირთათვის, რომლებსაც რეკომენდაცია მიეცათ ინსტიტუტის დამთავრებისთანავე ასპირანტურაში შესასვლელად. 7. მოწმობა ფორმა № 6 საკანდიდატო გამოცდის ჩაბარების შესახებ იმ პირებმა, რომლებმაც მთლიანად ან ნაწილობრივ ჩააბარეს საკანდიდატო გამოცდები არჩეული სპეციალობის მიხედვით.

განცხადებები მიიღება 1970 წლის 25 სექტემბრამდე. მისაღები გამოცდები 5-დან 20 ოქტომბრამდე.

ინსტიტუტის მისამართი: თბილისი, კრწანისი, ავტობუსი მარშრუტი № 23.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა ინსტიტუტის საბჭოთა ეროვნული ცენტრის აღმასრულებელი კომიტეტის წევრი